სააქციო საზოგადოება

„საქართველოს ბანკი“

(საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869)

ობლიგაციების წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი

წინამდებარე შეთავაზების პირობების დოკუმენტი ადგენს შეთავაზების პირობებს მისი რეგისტრირების თარიღისთვის არსებული ინფორმაციის საფუძველზე და წარმოადგენს ობლიგაციის შეთავაზების პირობებს.

აღნიშნული დოკუმენტით განისაზღვრება 45,000,000 (ორმოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის (შემდგომში - „კუპონი“ ან „საპროცენტო სარგებელი“) და „ობლიგაციების შეთავაზების პირობების“ შესაბამისად განსაზღვრული უფლებების მქონე, არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი, დემატერიალიზებული ობლიგაციების (შემდგომში - „ობლიგაციები“) შეთავაზების პირობები. ობლიგაციები ვადამოსული გახდება გამოშვებიდან 12 თვის შემდეგ. ობლიგაციების საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი საქართველოს ეროვნულ ბანკს წარედგინება არაუგვიანეს 2026 წლის 2 დეკემბრისა.

ფასიანი ქაღალდის დასახელება	სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში - „**ემიტენტი**“, „**BOG**“, „**ბანკი**“ ან „**კომპანია**“) არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციები (შემდგომში - „**ობლიგაციები**“)
ემიტენტის დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია	სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869) **იურიდიული მისამართი**: საქართველო, თბილისი 0160, საბურთალოს რაიონი, გაგარინის ქ., №29ა **ფაქტობრივი მისამართი**: საქართველო, თბილისი 0160, საბურთალოს რაიონი, გაგარინის ქ., №29ა **ელ. ფოსტა:** bog.funding@bog.ge **ვებ-გვერდი:** https://bankofgeorgia.ge/ **ტელეფონი:** (+995 32) 2 444 444
განთავსების აგენტის დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206) **მისამართი:** საქართველო, თბილისი 0108, პუშკინის ქ. №3 **ელ-ფოსტა:** sales@gt.ge **ვებ-გვერდი:** https://galtandtaggart.com/en **ტელეფონი:** (+995 32) 2 44 01 11
პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი:** საქართველო, თბილისი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1 **ელფოსტა:** info@nbg.gov.ge **ვებგვერდი:** www.nbg.gov.ge **ტელ:** (+995 32) 2 40 64 06 **ფაქსი:** (+995 32) 2 40 65 77

პროსპექტის დამტკიცების თარიღი	29 დეკემბერი, 2025 წელი
პროსპექტის მოქმედების ვადა	წინასწარი პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან მასში აღწერილი ინვესტიციების ღირებულებების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869)

ხელმოწერილია სს „საქართველოს ბანკის“ სახელით

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: არჩილ გაჩეჩილაძე

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 06.11.2026

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: შელ ჯერარდ კარვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 06.11.2026

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის“ სახელით

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ქეთევან თოიძე

თანამდებობა: დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა:

თარიღი: 06.11.2026.

ინფორმაცია ობლიგაციების შესახებ

ობლიგაციების ძირითადი მახასიათებლები:

ობლიგაციის საპროცენტო სარგებელი (კუპონი)	ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება მისი ნომინალური ღირებულებიდან და მოქცეულია წლიურად 4.8% - 5.3%-ის დიაპაზონში. საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონი) დადგენა ხდება ობლიგაციების შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან გამომდინარე (Book-building).
ობლიგაციების ამორტიზაციის პირობები	ობლიგაციების ძირი თანხის გადახდა სრულად მოხდება ობლიგაციების დაფარვის თარიღში.
სარგებლის (პროცენტის) დარიცხვა და გადახდა	ობლიგაციებს პროცენტის სახით დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ზემოთ მითითებული განაკვეთით ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების განაღდების (დაფარვის) თარიღამდე. პროცენტის დარიცხვა მოხდება წელიწადში 365 დღის საფუძველზე. ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი გადაიხდება წელიწადში ერთხელ, საორიენტაციოდ 7 დეკემბერს. დარიცხული პროცენტის პირველი გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2027 წლის 7 დეკემბერს.
ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ობლიგაციებთან დაკავშირებული უფლებები და შეზღუდვები	„პროსპექტით" (მათ შორის „ობლიგაციების შეთავაზების პირობებით") განსაზღვრულის გარდა, არ არის გათვალისწინებული ობლიგაციებთან დაკავშირებული რამე განსაკუთრებული უფლებები და შეზღუდვები.
ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის ნებისმიერი შეზღუდვა	ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა შეზღუდული არ არის.
ემიტენტის/ობლიგაციების საკრედიტო რეიტინგი	**ემიტენტის რეიტინგი:** **BB** / სტაბილური პერსპექტივით Fitch Ratings-ისგან **Ba2** / სტაბილური პერსპექტივით Moody's-ისგან; ობლიგაციებს საკრედიტო რეიტინგი არ აქვთ.
ობლიგაციების დაფარვის თარიღი	ობლიგაციების დაფარვა, ანუ მისი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა მოხდება საორიენტაციოდ 2027 წლის 7 დეკემბერს.
ცენტრალური დეპოზიტარის საკონტაქტო ინფორმაცია	სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი" (ს/ნ: 204935400). საქართველო, თბილისი 0186, საბურთალოს რაიონი, გამზირი ვაჟა-ფშაველა, N71, ოფისი N7, სართული 7, ბლოკი 10; ტელ: (995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge
სავაჭროდ დაშვება	ემიტენტს გამიზნული აქვს ობლიგაციების განთავსების შემდგომ განაცხადით მიმართოს „საქართველოს საფონდო ბირჟას" ან „თბილისის საფონდო ბირჟას", ობლიგაციების სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე. "ემიტენტი" აკმაყოფილებს ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ დებულების პირობებს.

	საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: GSE | Listing Rules. თბილისის საფონდო ბირჟის ლისტინგის პირობები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: TSE | Listing Rules.
ობლიგაციების კლასი და სტატუსი	ობლიგაცია წარმოადგენს „კომპანიის“ არასუბორდინირებულ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს. ყველა ობლიგაციას აქვს თანაბარი, იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე.
დივიდენდების გაცემის პოლიტიკა	„კომპანიას“ არ აქვს გაცხადებული დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.

ინფორმაცია შეთავაზების შესახებ:

შეთავაზება	45,000,000 აშშ დოლარამდე ჯამური ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები), დაფარვის ვადით საორიენტაციოდ 2027 წლის 7 დეკემბერს.
ობლიგაციების განთავსების მინიმალური მოცულობა	1 ობლიგაცია.
ინსტრუმენტი	კუპონური ობლიგაცია (ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სასესხო ფასიანი ქაღალდი)
ობლიგაციის ნომინალური ღირებულება	1,000 (ათასი) აშშ დოლარი
ობლიგაციების რაოდენობა	45,000 (ორმოცდახუთი ათასი) ცალამდე.
მთლიანი ემისიის ნომინალური ღირებულება	45,000,000 (ორმოცდახუთი მილიონი) აშშ დოლარამდე.
ობლიგაციების გამოშვების ფასი	ობლიგაციის ნომინალური ღირებულების 100%.
ობლიგაციების გამოშვების თარიღი	ობლიგაციები გამოშვებული იქნება საორიენტაციოდ 2026 წლის 7 დეკემბერს.
ემისიის დამტკიცების შესახებ პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმებისა და ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები	სამეთვალყურეო საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება
ობლიგაციების გადავადებული განთავსების თარიღი	ნებისმიერი თარიღი ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, როდესაც ხდება ობლიგაციის განთავსება გადავადებული განთავსების ფასით.
ობლიგაციების გადავადებული განთავსების ფასი	ობლიგაციების ნომინალურ ღირებულებას დამატებული ობლიგაციების გამოშვების თარიღიდან ობლიგაციების გადავადებულ განთავსების თარიღამდე დარიცხული და გადაუხდელი სარგებელი.
შეთავაზების პერიოდი	დროის მონაკვეთი „წინასწარი პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, ამავე პროსპექტის და რელევანტური „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან შეთავაზების დასრულების თარიღამდე, რომლის განმავლობაშიც შესაძლებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეძენა.
შეთავაზების დასრულების თარიღი	ფასიანი ქაღალდების შეთავაზების პერიოდის დასრულების თარიღი, რომელ თარიღადაც განისაზღვრება რომელიმე შემდეგი ფაქტის დადგომის თარიღი: ა) ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადის გასვლა; ბ) საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების სრულად განთავსება; გ) საჯარო შეთავაზების შეწყვეტა.

ობლიგაციების ვალუტა	ობლიგაციები დენომინირებულია აშშ დოლარში.
ფასიანი ქაღალდების რიგითობა კაპიტალის სტრუქტურაში გადახდისუუნარობის/გაკოტრების შემთხვევაში	„ემიტენტზე“ მოქმედებს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, კომერციული ბანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ხოლო კომერციული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება მისი ლიკვიდაცია. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ“ „სებ“-ის პრეზიდენტის 2024 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანება ითვალისწინებს კრედიტორთა დაკმაყოფილების თანამიმდევრობას, კერძოდ: 1) კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას ფინანსური გირავნობის მოგირავნეს აქვს ფინანსური გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება (ფინანსური გირავნობის ღირებულების ფარგლებში), აგრეთვე „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროგრამის კრედიტორებს აქვთ უზრუნველყოფის აქტივებიდან იმავე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება; 2) „ემიტენტის“ უზრუნველყოფილი კრედიტორის (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს), გარდა ზემოთ, 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირისა, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილდება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით, უზრუნველყოფის ღონისძიების (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უზრუნველყოფის ღონისძიების) რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად. „ემიტენტის“ იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო ვერ დაკმაყოფილდა, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 301-ე მუხლის 11 ნაწილის შესაბამისად აისახება ქვემოთ, მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების რიგში; 3) „ემიტენტის“ ლიკვიდაციისას სხვა მოთხოვნები შემდეგი თანამიმდევრობით უნდა დაკმაყოფილდეს: ა) „ემიტენტის“ ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარჯები; ბ) „ემიტენტის“ კრედიტორი (მათ შორის, „სებ“), რომლის მიმართ სასესხო ვალდებულება „ემიტენტს“ მისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოეშვა. ამასთანავე, საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც „ემიტენტისთვის“ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოიშვა, დაკმაყოფილდება ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად; გ) სარეზოლუციო ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გარდა ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა დაფინანსების ფარგლებში (გარდა სარეზოლუციო ფონდის საშუალებით განხორციელებული დროებითი სახელმწიფო დაფინანსებისა);

	დ) დაზღვეული დეპოზიტები „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწესებული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებში ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მოთხოვნები, მათ შორის, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა; ე) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნის ანგარიშზე არსებული თანხა, რომელიც აღემატება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებს, მაგრამ არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტისა; ვ) მოთხოვნები „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაგროვებითი საპენსიო სქემის სასარგებლოდ; ზ) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნის ანგარიშზე არსებული თანხა, რომელიც გადახდილი არ არის ამ პუნქტის „დ“–„ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გარდა ამ პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა; თ) „ემიტენტის“ ადმინისტრატორების სახელზე არსებული დეპოზიტები, „ემიტენტის“ კაპიტალის 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის მფლობელი აქციონერების დეპოზიტები, ამ პირების „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ოჯახის წევრების ან მათი სახელით მოქმედ მესამე პირთა დეპოზიტები, აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტის დეპოზიტები; ი) საბიუჯეტო ვალდებულებები და დავალიანებები; კ) „ემიტენტის“ მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები (მათ შორის, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამის კრედიტორების არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები), გარდა ამ პუნქტის „ლ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა; ლ) „ემიტენტის“ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ „ემიტენტის“ სასესხო ვალდებულება, გარდა ამ პუნქტის „მ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა; მ) „ემიტენტის“ სუბორდინირებული ვალი, რომელიც საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტი არ არის; ნ) „ემიტენტის“ ვალდებულებები, რომელთა ჩამოწერა ან საზედამხედველო კაპიტალში კონვერტაცია განსაზღვრულია ხელშეკრულებით, გარდა ამ პუნქტის „ო“–„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა; ო) „ემიტენტის“ მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები; პ) „ემიტენტის“ დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები; ჟ) „ემიტენტის“ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ „ემიტენტის“ სხვა ვალდებულებები. თუ არსებული თანხა ზემოთ მოცემული მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად დასაფარავად არ არის საკმარისი, ყველა სათანადო მოთხოვნა უნდა დაიფაროს შესაბამისი რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

	კრედიტორთა ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება კრედიტორთა წინა რიგის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.
კალკულაციის და გადახდის აგენტი	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206).
დეფოლტი	თუ ადგილი ექნება „დეფოლტის შემთხვევას“ ობლიგაციონერებს შეუძლიათ „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება“, პროსპექტით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, და მოითხოვოს „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-სა და დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა: (იხილეთ პროსპექტის თავის „ობლიგაციების გამოშვების პირობები“, ქვეპუნქტი 7.13 „დეფოლტის შემთხვევები“; ქვეპუნქტი 7.14 „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება“; ქვეპუნქტი 7.16 „აღსრულება“).

შეთავაზების მიზეზები და მოზიდული სახსრების გამოყენება	„ობლიგაციების“ ემისიიდან მიღებული სახსრების გამოყენებას „კომპანია“ გეგმავს „ემიტენტის“ სტანდარტული საბანკო საქმიანობის დასაფინანსებლად (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ქვეთავი „მოზიდული სახსრების გამოყენება“).
წმინდა სახსრები	გამოშვებული ობლიგაციების სრული განთავსების შემთხვევაში, ობლიგაციებიდან მოზიდული წმინდა სახსრები არ იქნება გამოშვებული ჯამური ნომინალური ღირებულების 98%-ზე ნაკლები.
რეალიზაციის და გასხვისების შეზღუდვები	ობლიგაციების შეთავაზება მოხდება მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.
მარეგულირებელი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა.
იურისდიქცია	„პროსპექტიდან“ გამომდინარე და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის მიმართვის გზით, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული წესით.
ობლიგაციების განთავსების ხელშეკრულების ძირითადი პირობები	ხელშეკრულება ავალდებულებს აგენტს („განთავსების აგენტი“) უზრუნველყოს ობლიგაციების განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. განთავსების აგენტის მოვალეობაა დაეხმაროს ემიტენტს ობლიგაციების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებაში (მათ შორის, ობლიგაციების პროსპექტი), შეასრულოს განთავსების აგენტის ფუნქცია და კომპანიას გაუწიოს ობლიგაციების გამოშვებასთან, რეალიზაციასთან და ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კონსულტაციები.
განთავსების საკომისიო	განთავსების საკომისიო არ აღემატება განთავსებული ობლიგაციების 2.0%-ს. განთავსების საკომისიოს სრულად ფარავს ემიტენტი და ინვესტორებზე არ იქნება დაკისრებული განთავსების არანაირი ხარჯი.

ინვესტორებზე დაწესებული შესაძლო გადასახადები

ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხდება სრულად ემიტენტის მიერ და შეთავაზების ფარგლებში ინვესტორს არ დაეკისრება ობლიგაციების განთავსებასთან დაკავშირებული რაიმე დამატებითი ხარჯი.

შეთავაზებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და „განთავსების აგენტი“, რომელიც ასევე არის „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, არაპირდაპირ დაკავშირებულ პირებს წარმოადგენენ, რამდენადაც „ემიტენტის“ და „განთავსების აგენტის“/„კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Lion Finance Group PLC, რომელიც, თავის მხრივ, დალისტულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში; ტიკერი: BGEO:LN.

წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის წარდგენის თარიღისთვის, „ემიტენტის“ 100.00%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრე (“Lion Finance Group PLC”), არაპირდაპირ ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“

100%-ს. ამასთან, „ემიტენტის“ მენეჯმენტის გუნდის წევრები წარმოადგენენ სს „გალტ ენდ თაგარტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, კერძოდ:

- არჩილ გაჩეჩილაძე, სს „გალტ ენდ თაგარტის“ საბჭოს თავმჯდომარე, არის ემიტენტის გენერალური დირექტორი;
- დავით ჭყონია, სს „გალტ ენდ თაგარტის“ საბჭოს წევრი, არის ემიტენტის გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ რისკ ფაქტორად, „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია და სამომავლოდაც დაიდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით/საფუძველზე.

წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის წარდგენის თარიღისთვის „ემიტენტთან“ დაკავშირებული კომპანიები, სს „ბიჯი ფაინანშიალ“ (სს “ბიჯი ფაინანშიალს” და ემიტენტს ჰყავთ ერთი საბოლოო მშობელი კომპანია) და სს “გალტ ენდ თაგარტი” ფლობენ სს “საქართველოს საფონდო ბირჟის” 2.00%-იან და 15.33%-იან წილებს, ხოლო ზურაბ ქოქოსაძე, „ემიტენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე კორპორატიული საბანკო მომსახურების მიმართულებით იკავებს სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას.

მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ რისკ ფაქტორად, „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია და სამომავლოდაც დაიდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით/საფუძველზე.

„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

სააქციო საზოგადოება
„საქართველოს ბანკი“
საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869
არასუბორდინირებული, არაუზრუნველყოფილი ობლიგაციების

ემისიის პროგრამის გამარტივებული პროსპექტი

100,000,000 (ასი მილიონი) აშშ დოლარამდე ან/და მის ექვივალენტამდე ევროში ჯამური ნომინალური ღირებულების პირდაპირი, არასუბორდინირებული ობლიგაციები გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ემისიით, ფიქსირებული საპროცენტო სარგებლის მქონე კუპონურ ობლიგაციებად (შემდგომში - „ობლიგაციები“). თითოეული ემისიისთვის (ყოველი ემისიის ფარგლებში „ობლიგაციების“ გამოშვების თარიღი დაზუსტდება შესაბამისი შეთავაზების დოკუმენტში) ერთი „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულება მისი გამოშვებისას იქნება 1,000 (ერთი ათასი) ერთეული შესაბამის ვალუტაში; შესაბამისი ემისიის ვალუტა დაზუსტდება მისი შეთავაზების პირობების დოკუმენტით და შესაძლოა იყოს ევრო ან აშშ დოლარი. თითოეული ემისიისთვის ფასი გამოშვებისას: ნომინალური ღირებულების 100% (ასი პროცენტი); „ობლიგაციების“ კუპონის გადახდის სიხშირე განისაზღვრება, რომელიმე შემდეგი პერიოდის შესაბამისად: ა) ყოველთვიური; ბ) კვარტლური; გ) ნახევარწლიური; დ) წლიური; თითოეული ემისიის ფარგლებში გამოშვებული „ობლიგაციების“ ვადიანობა შესაძლოა განისაზღვროს შემდეგნაირად: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; ან 5) 5 წლიანი.

„ობლიგაციების“ გამოშვების დეტალური პირობები, როგორიცაა შესაბამისი ემისიის ჯამური მოცულობა, დენომინაცია, საპროცენტო სარგებლის გადახდის სიხშირე, გამოშვების ზუსტი თარიღი, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტითა" (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) და შესაბამისი ემისიის „წინასწარი შეთავაზების პირობებითა“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი საპროცენტო სარგებლის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის შედეგად, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). საპროცენტო სარგებლის (კუპონის) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს შეთავაზების პროცესში) მითითებული დიაპაზონის ფარგლებში.

თითოეული საჯარო შეთავაზების/ემისიის ფარგლებში, დაუშვებელია შეთავაზების (Book-building-ის) დაწყება, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ საქართველოს ეროვნული ბანკისთვის წარდგენისა და აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროვების გარეშე. ამასთან, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის (კუპონის) ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ „საბოლოო პროსპექტში“ ასახვას.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას.

სს „საქართველოს ბანკი“ (შემდგომში - **„კომპანია“** ან **„ემიტენტი“**) პასუხისმგებელია წინამდებარე „პროსპექტში“ წარმოდგენილ ინფორმაციაზე. „კომპანიის“ ხელთ არსებული ინფორმაციით (რომლის სიზუსტის, სისრულისა და ამომწურავობის დასადასტურებლადაც „კომპანიამ“ მიმართა ყველა გონივრულად შესაძლო ძალისხმევას) წინამდებარე „პროსპექტში“ მოყვანილი მონაცემები ეფუძნება ფაქტებს და არ არის გამოტოვებული იმგვარი ინფორმაცია, რასაც შეეძლო მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ინფორმაციის უტყუარობაზე და სისრულეზე. ამასთან, წინამდებარე პროსპექტში შესულია „კომპანიისთვის“ ცნობილი ყველა არსებითი ფაქტი და ადგილი არ ჰქონია ისეთი ინფორმაციის გამოტოვებას, რომელთა გამჟღავნება მოთხოვნილია გამარტივებული „პროსპექტის“ შედგენის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ბანკის (შემდგომში - **„სებ“**) მიერ „პროსპექტის“ დამტკიცება შეეხება „პროსპექტის“ ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ.

დოკუმენტის მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი:

სს „საქართველოს ბანკი" (ს/ნ: 204378869)

ხელმოწერილია სს „საქართველოს ბანკის" სახელით

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: არჩილ გაჩეჩილაძე

თანამდებობა: გენერალური დირექტორი

ხელმოწერა:

თარიღი: 29.12.2025

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: სულხან გეგლია

თანამდებობა: ფინანსური დირექტორი / გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერა:

თარიღი: 29.12.2025

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: მელ ჯეფარდ კარვილი

თანამდებობა: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

ხელმოწერა:

თარიღი: 29.12.2025

ხელმოწერილია სს „გალტ ენდ თაგარტის" სახელით

ხელმომწერი:

სახელი, გვარი: ქეითლინ თოთიჩე

თანამდებობა: დირექტორების მოადგილე

ხელმოწერა:

თარიღი: 29.12.2025

მნიშვნელოვანი ინფორმაცია ინვესტორებისთვის

წინამდებარე დოკუმენტის სრულად გაცნობამდე, პოტენციური ინვესტორი პირველ რიგში უნდა გაეცნოს წინამდებარე დათქმას, რომელიც ეხება თანდართულ „პროსპექტს“ და შესაბამისად, პოტენციური ინვესტორი, უპირველეს ყოვლისა, გულდასმით უნდა გაეცნოს მას. „პროსპექტის“ გაცნობით და მისი გამოყენებით (მათ შორის, ინვესტირების მიზნით) ინვესტორი თანხმობას აცხადებს, რომ დაექვემდებარება და შეასრულებს ქვემოთ მოცემულ პირობებს (დროდადრო მათში შეტანილი შესწორებებისა და ცვლილებების ჩათვლით).

პროსპექტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

საქართველოს ეროვნული ბანკი - მისამართი: №1 ზვიად გამსახურდიას სანაპირო, თბილისი, 0114, საქართველო; ტელეფონი: 32 2 406 406; ელ. ფოსტა: info@nbg.gov.ge; ვებ-გვერდი: www.nbg.gov.ge.

პასუხისმგებლობის შეზღუდვა:

გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც შესაძლოა პირდაპირ იქნას გათვალისწინებული შესაბამისი კანონმდებლობით, არც ერთი პირი, გარდა „ემიტენტისა“, მათ შორის, „ემიტენტის“ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ფინანსური დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, არც „განთავსების აგენტი“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), „ცენტრალური დეპოზიტარი“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), „კომპანიის“ სხვა მრჩველები ან/და მათთან დაკავშირებული რომელიმე პირი, ან მათი რომელიმე დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მრჩეველი ან აგენტი არ არიან პასუხისმგებელნი წინამდებარე „პროსპექტის“ შინაარსზე, მასში წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობაზე, სიზუსტეზე ან სისრულეზე, ან მათ მიერ ან მათი სახელით „კომპანიასთან“ დაკავშირებით წინამდებარე „პროსპექტში“ გაკეთებულ რომელიმე განცხადებაზე ან წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან და შეთავაზებასთან დაკავშირებულ წინამდებარე „პროსპექტში“ გამჟღავნებულ ნებისმიერ ინფორმაციაზე. შესაბამისად, „განთავსების აგენტი“ და „კომპანიის“ მრჩევლები არ იღებენ არანაირ კანონისმიერ თუ სხვაგვარ პასუხისმგებლობას წინამდებარე „პროსპექტთან“ ან „პროსპექტში“ მითითებულ მათ რაიმე განცხადებასთან დაკავშირებით.

მოცემული შეთავაზების მიზნებისთვის, „განთავსების აგენტი“ და „კალკულაციის და გადახდის აგენტი“ მოქმედებენ ექსკლუზიურად „ემიტენტისთვის“, ისინი არ წარმოადგენენ არცერთ სხვა პირს მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით და არ მიიჩნევენ არცერთ სხვა პირს (მიუხედავად იმისა, ამგვარ პირს მიღებული აქვს თუ არა წინამდებარე „პროსპექტი“) თავის კლიენტად მოცემულ შეთავაზებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, „განთავსების აგენტი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არ არიან ვალდებული, „კომპანიის“ გარდა ვინმეს გაუწიონ მომსახურება ან მისცენ რჩევა შეთავაზებასთან ან წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ რაიმე ოპერაციასთან ან გარიგებასთან დაკავშირებით.

წინამდებარე „პროსპექტი“ არ წარმოადგენს და ვერ იქნება გამოყენებული შეთავაზების მიზნით (ა) რომელიმე ისეთ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი ქმედება ნებადართული არ არის, ან (ბ) რომელიმე ისეთი პირის მიმართ, რომლისთვისაც ამგვარი შეთავაზება დაუშვებელია/უკანონოა. საქართველოს გარდა არც ერთ იურისდიქციაში არ განხორციელდება არანაირი ქმედება წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული „ობლიგაციების“ საქართველოს ფარგლებს გარეთ შეთავაზებისთვის ნებართვის მისაღებად, ან პროსპექტის (ან „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული სხვა შეთავაზების მასალების) გასავრცელებლად.

ინვესტორის დადასტურება:

„პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდება მისივე თხოვნის საფუძველზე, იმ პირობით, რომ იგი უდასტურებს შესაბამის განთავსების აგენტს - სს „გალტ ენდ თაგარტს“ (ს/ნ 211359206); მისამართი: №3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0108, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 2444-132 / (+995 32) 24401-111; ელ. ფოსტა: sales@gt.ge, და სს „საქართველოს ბანკს“, რომ ინვესტორი (i) იმყოფება ამერიკის შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ და არ არის ამერიკის მოქალაქე (აშშ-ს 1933 წლის ფასიანი ქაღალდების შესახებ აქტის „S“ რეგულაციით განსაზღვრული მნიშვნელობით), და (ii) იმყოფება გაერთიანებული სამეფოს და ევროპის ეკონომიკური სივრცის გარეთ, და (iii) არის პირი, რომლისთვისაც წინამდებარე „პროსპექტი“ შეიძლება კანონიერად იქნეს მოწოდებული იმ იურისდიქციის კანონების შესაბამისად, სადაც იგი იმყოფება.

იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პროსპექტი“ ინვესტორს მიეწოდა ელექტრონული ფორმით, „კომპანია“, „განთავსების აგენტი“ ან/და რომელიმე მათგანთან აფილირებული პირები არ იქნებიან რაიმე სახით ვალდებული ან პასუხისმგებელი ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმატით გავრცელებული „პროსპექტის“ ვარიანტებს შორის არსებულ რაიმე სხვაობაზე ან/და კომპიუტერული პროგრამის ვირუსებისაგან ან სხვა დამაზიანებელი

ელემენტებისაგან დაცვაზე, რაც შესაძლოა გამოწვეულ იქნას ელექტრონული ფორმატით დოკუმენტების მიწოდებით გამოწვეული ცვლილებით მათი გადაგზავნის პროცესში. პროსპექტზე წვდომის განხორციელებით, ინვესტორი თანხმობას აცხადებს მის ელექტრონული ფორმით მიღებაზე.

ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, უპირატესობა ენიჭება „სებ“-ის მიერ გამოქვეყნებულ/გასაჯაროვებულ დამტკიცებულ „პროსპექტს“.

„პროსპექტის“ „სებ“-ისთვის წარდგენიდან „სებ“-ის მიერ მის დამტკიცებამდე არსებითი (მატერიალური) ცვლილება არ მომხდარა, ხოლო თუკი რამე მსგავსი ცვლილება მოხდება „სებ“-ის მიერ წინამდებარე „პროსპექტის“ დამტკიცებიდან „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული ობლიგაციების შეთავაზებამდე, „პროსპექტი“ შესაბამისად იქნება განახლებული.

ნაბეჭდი სახით „პროსპექტი“ ხელმისაწვდომია „განთავსების აგენტისთვის“ მიმართვის საფუძველზე.

შეზღუდვა: თუ პირმა წინამდებარე დოკუმენტზე წვდომა მოიპოვა ზემოაღნიშნული დათქმებისა და შეზღუდვების მიუხედავად და გაუთვალისწინებლად, იგი არ არის უფლებამოსილი შეიძინოს წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული ობლიგაციები, რაზეც პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება თავად ინვესტორს და არა „კომპანიას“ ან/და „განთავსების აგენტს“.

დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ

დამტკიცების თარიღი

29 ივლისი 2025

სარჩევი

1. შესავალი 6
2. ძირითადი ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ 10
2.1. „ემიტენტის“ შესახებ 10
2.2. პერიოდული ანგარიშგებები IFRS სტანდარტების შესაბამისად 13
2.3. საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებული ანგარიშგებები 13
2.4. „ემიტენტის“ რეიტინგი 13
2.5. ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი: 13
2.6. საბანკო სექტორის მოკლე მიმოხილვა 17
2.7. იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობაზე: 18
3. მოზიდული სახსრების გამოყენება 20
4. შეთავაზებასთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა 21
5. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი 22
6. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს 23
7. ობლიგაციების გამოშვების პირობები 28
7.1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება 29
7.2. ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა 29
7.3. საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა 31
7.4. სტატუსი 31
7.5. ობლიგაციების გასხვისება 32
7.6. ფასის დადგენა 32
7.7. დათქმები 32
7.8. სანქციებთან დაკავშირებული პირობები 33
7.9. საპროცენტო სარგებელი 33
7.10. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა 34
7.11. გადახდები 34
7.12. დაბეგვრა 36
7.13. დეფოლტის შემთხვევები 36
7.14. „ობლიგაციების“ ვადამოსულად გამოცხადება 37
7.15. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა 37
7.16. აღსრულება 40
7.17. პუნქტის ბათილობა 41
7.18. შეტყობინებები 41
7.19. ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი 42
7.20. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია 43
7.21. განმარტებები: 43

1. შესავალი

ფასიანი ქაღალდის დასახელება:	სს „საქართველოს ბანკის“ (შემდგომში - „**ემიტენტი**“, „**BOG**“, „**ბანკი**“ ან „**კომპანია**“) არაუზრუნველყოფილი, არასუბორდინირებული ობლიგაციები
„ემიტენტის“ დასახელება, სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869) **მისამართი**: №29ა გაგარინის ქუჩა, საბურთალოს რაიონი, თბილისი, 0160, საქართველო **ვებგვერდი**: www.bankofgeorgia.ge **ელ-ფოსტა**: bog.funding@bog.ge **ტელეფონი:** (+995 32) 2 444 444
„განთავსების აგენტის“ დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206) **მისამართი**: №3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0108, საქართველო **ელ. ფოსტა**: gt@gt.ge; sales@gt.ge **ვებგვერდი**: www.galtandtaggart.com/en **ტელეფონი**: (+995 32) 2 401 111
„პროსპექტის“ დამტკიცებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დასახელება და საკონტაქტო ინფორმაცია:	საქართველოს ეროვნული ბანკი **მისამართი**: №1 ზვიად გამსახურდიას ქუჩა, თბილისი, 0114, საქართველო **ელ. ფოსტა**: info@nbg.gov.ge **ვებგვერდი**: www.nbg.gov.ge **ტელეფონი**: (+995 32) 2 406 406
„პროსპექტის“ დამტკიცების თარიღი:	29 დეკემბერი, 2025 წელი
„პროსპექტის“ მოქმედების ვადა	დამტკიცებული პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვე

მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

„ობლიგაციებში“ ინვესტირება არის მნიშვნელოვანი რისკების შემცველი. ნებისმიერი ინვესტორი, რომელიც შეიძენს „ობლიგაციებს“, მზად უნდა იყოს მისი ინვესტიციის ეკონომიკური რისკიანობისათვის და გაითვალისწინოს, რომ მის მიერ შეძენილი „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და დარიცხული საპროცენტო სარგებლის დაბრუნება დამოკიდებული იქნება „ემიტენტის“ გადახდისუნარიანობაზე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, „პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს ამომწურავი, ასახავდეს „კომპანიასთან“, მის საქმიანობასთან, გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ყველა არსებით ინფორმაციას, იყოს გადმოცემული მოკლედ, გასაგები ენით და იძლეოდეს მისი მარტივად გაანალიზების საშუალებას. „კომპანიის“ ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ შეთავაზებასა და განთავსებასთან დაკავშირებით მოწოდებული რაიმე/ნებისმიერი სხვა ინფორმაცია არ არის გამიზნული „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებული რისკების სრულფასოვნად ან დამოუკიდებლად შეფასებისათვის. ყველა ინვესტორმა თავად უნდა შეაფასოს შესაბამისი პოტენციური რისკები. გარდა ამისა, ინვესტორმა შესაძლოა დაკარგოს მთლიანი ინვესტირებული თანხა ან მისი ნაწილი.

„ემიტენტს“ შესაძლებელია დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუ წინამდებარე დოკუმენტი შეცდომაში შემყვანია, ან არაზუსტია, იმ მიზნით, რომ ინვესტორების მიერ მიღებული იქნას გადაწყვეტილება შესათავაზებელ „ობლიგაციებში“ სახსრების დაბანდებასთან დაკავშირებით.

„პროსპექტი“ და მასში მოყვანილი ინფორმაცია შესაძლოა დაექვემდებაროს შესაბამის შესწორებას და დამატებას გარემოებების ცვლილებიდან გამომდინარე, რისი ასახვაც ხდება „საბოლოო პროსპექტში“ (მაგ., საპროცენტო განაკვეთის დაზუსტება, ტექნიკური ხარვეზის გასწორება, ემისიის მოცულობის დაზუსტება, და ა.შ.). აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტი“ მოახდენს ინვესტორთა ინფორმირებას საქართველოს კანონმდებლობითა და წინამდებარე „პროსპექტით“ დადგენილი წესით. „ობლიგაციების“ გაყიდვა, ან „ობლიგაციების“ ყიდვის საჯარო შეთავაზება არ შეიძლება გაკეთდეს მანამ, სანამ არ მოხდება „პროსპექტის“ დამტკიცება „სებ“-ის მიერ.

„პროსპექტით“ განსაზღვრული „ობლიგაციების“ შეთავაზება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. აღნიშნული არ წარმოადგენს შეთავაზებას „ობლიგაციების“ ნასყიდობაზე ნებისმიერ იმ იურისდიქციაში, სადაც ამგვარი შეთავაზება ჩაითვლება უკანონოდ/დაუშვებლად.

არც „კომპანია“ და არც „განთავსების აგენტი“ არ აკეთებენ არანაირ განცხადებას და არ იძლევიან რაიმე გარანტიას „ობლიგაციების“ პოტენციური ან რეალური/ფაქტობრივი მყიდველების მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ „ობლიგაციებში“ ინვესტირების კანონიერების შესახებ, რომელიმე მარეგულირებელი კანონმდებლობის მიხედვით, რომელსაც ექვემდებარება ან შესაძლოა დაექვემდებაროს ამგვარი მყიდველი.

არცერთი პირი არ არის უფლებამოსილი „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტის“ სახელით გასცეს რაიმე ისეთი ინფორმაცია, ან გააკეთოს რაიმე განცხადება, რაც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე „პროსპექტსა“ და „ობლიგაციების“ შესათავაზებელ ინვესტორთა პრეზენტაციაში და ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია ან განცხადება არ შეიძლება მიჩნეული იქნეს „კომპანიის“ ან „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართულ ქმედებად. წინამდებარე „პროსპექტის“ მიწოდება ან მის საფუძველზე „ობლიგაციების“ რეალიზაცია არცერთ შემთხვევაში არ უნდა იქნეს აღქმული იმგვარად, რომ წინამდებარე „პროსპექტის“ დამტკიცების თარიღიდან „კომპანიის“ საქმიანობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

წინამდებარე „პროსპექტი“ არ უნდა იქნას განხილული, როგორც იურიდიული, საინვესტიციო, საქმიანი/პროფესიული ან საგადასახადო რჩევა. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას, ყველა ინვესტორმა კონსულტაციები საჭიროებისამებრ უნდა გაიაროს საკუთარ მრჩევლებთან და თავად განსაზღვროს, რამდენად კანონიერია მის მიერ ამ „პროსპექტით“ განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების შეძენა შესაბამისი მარეგულირებელი კანონმდებლობის და მარეგულირებელი ნორმების ფარგლებში.

გაფრთხილება:
„ობლიგაციების“ ემისიის გამარტივებული პროსპექტი არ წარმოადგენს მარტივ დოკუმენტს და შესაძლებელია რთული იყოს ინვესტორისთვის წინამდებარე „პროსპექტით“ შეთავაზებული პროდუქტის სწორად აღქმა და შეფასება.

გამარტივებული „პროსპექტი“ წარმოადგენს „პროსპექტის“ შემოკლებულ ვერსიას და საინვესტიციო გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა, მაგალითად, „კომპანიის“ ფინანსები, ფინანსური კოეფიციენტები და სხვა მსგავსი ინფორმაცია, „პროსპექტის“ ნაწილია მითითების სახით. მითითების სახით აღნიშნული ინფორმაციები ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომია საჯარო წყაროებში (დამატებითი ინფორმაციისთვის, გთხოვთ იხილოთ პროსპექტის ქვეთავები: „*2.2. პერიოდული ანგარიშგებები IFRS სტანდარტების შესაბამისად*“ და „*2.3. საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებული ანგარიშგებები*“).

ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღებისას ინვესტორები უნდა დაეყრდნონ საკუთარ დამოუკიდებელ ანალიზს „კომპანიასთან“, „ობლიგაციებთან“, შეთავაზებულ პირობებთან, სარგებელსა და რისკებთან დაკავშირებით. ყველა პოტენციურმა ინვესტორმა თავად უნდა განსაზღვროს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა საკუთარი რისკის ამტანუნარიანობისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით. „პროსპექტით“ გათვალისწინებული ემისია საჯაროა, ამასთან ყველა პოტენციურ ინვესტორს უნდა:

- გააჩნდეს საკმარისი ცოდნა და გამოცდილება „ობლიგაციების“, მათში კაპიტალდაბანდების სარგებლისა და რისკების, ასევე წინამდებარე „პროსპექტში“ და ნებისმიერ შესაბამის შესწორებაში მოყვანილი ინფორმაციის ჯეროვანი შეფასებისთვის;
- გააჩნდეს შესაბამისი ცოდნა, რათა შეაფასოს „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების მიზანშეწონილობა და ამგვარი ინვესტიციის გავლენა მის მთლიან საინვესტიციო პორტფელზე მისი კონკრეტული ფინანსური გარემოების კონტექსტში;
- გააჩნდეს საკმარისი ფინანსური რესურსები და ლიკვიდური პოზიცია „ობლიგაციებში“ კაპიტალდაბანდების ყველა რისკის ასაღებად, მათ შორის, როდესაც ძირითადი თანხისა და საპროცენტო სარგებლის ვალუტა განსხვავდება იმ ვალუტისაგან, რომელშიც ინვესტიციებს იზიდავს ან ახორციელებს პოტენციური ინვესტორი;
- შეეძლოს „ობლიგაციების“ შეთავაზების პირობების სრულყოფილი გაგება და ის უნდა იცნობდეს შესაბამისი ფინანსური ბაზრის მახასიათებლებს;
- გააჩნდეს შესაძლებლობა შეაფასოს (თავად ან მისი ფინანსური მრჩევლის დახმარებით) ეკონომიკური, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფაქტორების შესაძლო განვითარების სცენარები, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მის ინვესტიციებზე და შესაბამისი რისკის აღების შესაძლებლობაზე.

აღნიშნული ჩანაწერი ატარებს მხოლოდ გამაფრთხილებელ ხასიათს და არ მოიაზრებს „ემიტენტის“ პასუხისმგებლობის შეზღუდვას.

გამოყენებული წყაროები:

„პროსპექტში“ გამოყენებული ძირითადი წყაროები:

- „კომპანიის“ შესახებ ინფორმაცია და „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგებები: www.bankofgeorgia.ge/en/about/about-us;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: www.geostat.ge/en;
- საქართველოს ეროვნული ბანკი: www.nbg.ge;
- სს „საქართველოს ბანკის“ წესდება, საჯარო რეესტრის პორტალი: napr.gov.ge (განაცხადის ნომერი: B25173812);
- ანგარიშგების პორტალი: www.reportal.ge;
- Fitch Ratings: www.fitchratings.com/entity/bank-of-georgia-83071725;
- Moody's: www.moodys.com/credit-ratings/JSC-Bank-of-Georgia-credit-rating-809221458?lang=en&cy=aus.

პასუხისმგებელი პირი აცხადებს, რომ როდესაც ხდება მესამე მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამოყენება, მითითებულია წყარო და გაკეთებულია დათქმა, რომ ეს ინფორმაცია სწორადაა გადამუშავებული. ამ ინფორმაციიდან არ არის მათთვის ცნობილი გამოტოვებული მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც ინფორმაციას გახდიდა არაზუსტსა და შეცდომაში შემყვანს.

„ემიტენტის“ აუდიტორი და სხვა მესამე პირები ან ექსპერტები:

„ემიტენტის“ 2024 და 2023 ფინანსური წლების ფინანსური აუდიტორი: შპს „იუაი“ (ს/ნ: 204441158), მისამართი: №44 კოტე აფხაზის ქუჩა, თბილისი, 0105, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 2 15 88 11; ფაქსი: (+995 32) 2 15 88 22; ვებგვერდი: www.ey.com/ge (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ემიტენტი“ აქვე აზუსტებს, რომ აუდიტორი არ ყოფილა ჩართული „პროსპექტის“ მომზადებაში).

სარეიტინგო სააგენტო #1: Fitch Ratings www.fitchratings.com

სარეიტინგო სააგენტო #2: Moody's Investors Service www.moodys.com

შეთავაზების განხორციელებაში ჩართული სხვა იურიდიული პირები:

„პროსპექტის“ ფარგლებში „ობლიგაციების“ განთავსების აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206), მისამართი: №3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0108, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 2 40 11 11; ელ. ფოსტა: sales@gt.ge; ვებგვერდი: www.galtandtaggart.ge

„პროსპექტის“ ფარგლებში „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით კალკულაციისა და გადახდის აგენტი: სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206), მისამართი: №3 პუშკინის ქუჩა, თბილისი, 0108, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 2 40 11 11; ელ. ფოსტა: sales@gt.ge; ვებგვერდი: www.galtandtaggart.ge

„ემიტენტის“ დეპოზიტარი: სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400), მისამართი: ოფისი №7, სართული 7, ბლოკი 10, №71 ვაჟა-ფშაველას გამზირი, თბილისი, 0179, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11; ელ. ფოსტა: info@gcsd.ge.

„კომპანიამ" გააფორმა ხელშეკრულება „განთავსების აგენტთან“ - სს „გალტ ენდ თაგარტთან“. აღნიშნული ხელშეკრულებით სს „გალტ ენდ თაგარტს“ ევალება უზრუნველყოს „ობლიგაციების“ განთავსება მხოლოდ არაგარანტირებულ საფუძველზე. „განთავსების აგენტის“ მოვალეობაა ხელი შეუწყოს ფასიანი ქაღალდების განთავსებისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადებას („პროსპექტის“ ჩათვლით), იმოქმედოს როგორც განთავსების აგენტმა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში მისცეს „კომპანიას“ რჩევები „ობლიგაციების“ გამოშვებასთან და გაყიდვასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„კომპანიამ“ ასევე გააფორმა ხელშეკრულება „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ - სს „გალტ ენდ თაგარტთან“. აღნიშნული ხელშეკრულებით სს „გალტ ენდ თაგარტს“ ევალება, შეასრულოს კალკულაციის და გადახდის ფუნქციები, საქართველოს კანონმდებლობის, „პროსპექტისა“ და ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. კალკულაციისა და გადახდის აგენტის მოვალეობაა „კუპონისა“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) და ძირითადი თანხის კალკულაცია და ანგარიშსწორება.

2. ძირითადი ინფორმაცია „კომპანიის“ შესახებ

2.1. „ემიტენტის“ შესახებ

„ემიტენტი“ არის სს „საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869). მისამართი: №29ა გაგარინის ქუჩა, საბურთალოს რაიონი, თბილისი, 0160, საქართველო. რეგისტრაციის ქვეყანა: საქართველო. მარეგულირებელი კანონმდებლობა: საქართველოს კანონმდებლობა. დაფუძნების თარიღი: 1994 წლის 21 ოქტომბერი.

სს „საქართველოს ბანკი“, როგორც სისტემურად მნიშვნელოვანი და უნივერსალური ბანკი საქართველოში, წარმოადგენს მოწინავე ბანკს ადგილობრივ ბაზარზე. იგი განსაკუთრებით ძლიერია ციფრული საბანკო მომსახურებით. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ბანკი ყოველთვიურად ემსახურებოდა 2.0 მილიონზე მეტ აქტიურ საცალო მომხმარებელს და 122,000-ზე მეტ ყოველთვიურად აქტიურ ბიზნეს კლიენტს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, საჯარო სააქციო საზოგადოება Lion Finance Group PLC (წარსულში საჯარო სააქციო საზოგადოება Bank of Georgia Group PLC დასახელებით), რომელიც ლონდონის საფონდო ბირჟაზეა დალისტული (ticker: BGEO:LN) წარმოადგენდა ბანკის საბოლოო მშობელ საწარმოს.

ბანკი, მისი შვილობილი საწარმოები და არსებითი მეკავშირე საწარმო, რომელიც სომხეთში ფუნქციონირებს, შეადგენენ ძირითადად საქართველოში, ბელარუსსა და სომხეთში დაფუძნებული ფინანსურ სფეროში მოქმედი კომპანიების ჯგუფს (შემდგომში - „ჯგუფი“). მათი ძირითადი საქმიანობაა საბანკო მომსახურების გაწევა იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის. ბანკი არის საქართველოს იურისდიქციაში „ჯგუფის“ ძირითადი საოპერაციო კომპანია.

2025 წლის 25 მარტს სს „ბიჯეო ჯგუფმა“ (Lion Finance Group PLC-ს 100% იანი შვილობილი კომპანია, რომელიც აერთიანებს ჯგუფის ქართულ აქტივებს) გამოისყიდა სს „საქართველოს ბანკის“ 0.44%-იანი არამაკონტროლებელი წილი, რითაც თავისი წილობრივი მონაწილეობა 100%-მდე გაზარდა.

2.1.1. სს „საქართველოს ბანკის“ ძირითადი საოპერაციო სეგმენტებია:

მართვის მიზნებისათვის, ჯგუფი, რომლის წევრიც არის „ემიტენტი“, აერთიანებს შემდეგ ბიზნეს-მიმართულებებს, მათი შესაბამისი შემდეგი ძირითადი საოპერაციო სეგმენტებით:

- ფინანსური მომსახურება საქართველოს მასშტაბით: შედგება საცალო საბანკო მომსახურებისაგან (RB), კორპორაციული საბანკო მომსახურებისგან (CB), მცირე და საშუალო საწარმოების საბანკო მომსახურებისაგან (SME) და კორპორატიული ცენტრისაგან (CC).
- სხვა ბიზნეს-მიმართულებები: ძირითადად წარმოადგენს სს „ბელარუსის სახალხო ბანკი“, რომელიც ოპერირებს ბელარუსში და მომხმარებლებს სთავაზობს საცალო და მცირე და საშუალო მეწარმეთა საბანკო მომსახურებას; ასევე მეკავშირე საწარმოს წარმოადგენს ამერიაბანკი - კომერციული ბანკი, რომელიც ოპერირებს სომხეთში. ამერიაბანკის გამოშვებული სააქციო კაპიტალის 30% ეკუთვნის „ემიტენტს“, 60% - „ემიტენტის“ საბოლოო მშობელ კომპანიას - Lion Finance Group PLC-ს (მანამდე Bank of Georgia Group PLC დასახელებით), დარჩენილი 10% - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD). ამასთან, „ემიტენტს“, Lion Finance Group PLC-სა და EBRD-ს შორის მოქმედებს ფუთ და ქოლ ოფციის შეთანხმება აღნიშნულ 10%-იან წილზე. ამერიაბანკი მონაწილეობს ჯგუფის მოგების გამოთვლაში (მასთან დაკავშირებული ფინანსური კონსოლიდაციებისა და ელიმინაციების გათვალისწინებით) და მისი ძირითადი საქმიანობაც მოიცავს კორპორაციულ, საინვესტიციო და საცალო საბანკო სერვისებს.

2.1.2. საქართველოს მასშტაბით ფინანსური მომსახურების სეგმენტი შედგება შემდეგი მიმართულებებისგან:

(ა) საცალო (რითეილ) საბანკო მომსახურება (RB), რომელიც ძირითადად გასწევს შემდეგ მომსახურებას: სამომხმარებლო სესხები, იპოთეკური სესხები, ოვერდრაფტი, საკრედიტო საბარათე და სხვა ტიპის საბარათე მომსახურება, ფულადი გადარიცხვები/გზავნილები და საანგარიშსწორებო მომსახურება, სამომხმარებლო დეპოზიტები როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირებისათვის. საცალო საბანკო მომსახურების მომხმარებელთა წრეს ძირითადად წარმოადგენს მასობრივ საცალო, დაგროვილი ქონებისა და მაღალი შემოსავლის მქონე კლიენტების სეგმენტები.

(ბ) მცირე და საშუალო ბიზნესების საბანკო მომსახურება (SME), რომელიც ძირითადად გასწევს შემდეგ მომსახურებას: მცირე და საშუალო ზომის საწარმოების სესხები, მიკროსესხები, სამომხმარებლო და იპოთეკური

სესხები, ფულადი გზავნილები/გადარიცხვები და სამომხმარებლო დეპოზიტების მართვა იურიდიული პირებისათვის. მცირე და საშუალო ბიზნესების საბანკო მომსახურების მომხმარებელთა წრეს ძირითადად წარმოადგენს მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და მიკრო-ბიზნესები.

(გ) კორპორაციულ საბანკო მომსახურება (CB), რომელიც ძირითადად გასწევს შემდეგ მომსახურებას: საბანკო კრედიტები და სხვა საკრედიტო პროდუქტები, ფულადი გადარიცხვები და საანგარიშსწორებო მომსახურება, დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერა და კორპორაციული და ინსტიტუციონალური მომხმარებლებისათვის შემნახველი და ვადიანი ანაბრების მართვა.

(დ) კორპორაციული ცენტრი (CC), რომელიც ძირითადად შედგება სახაზინო და ქასთოდიანური ოპერაციებისგან.

2.1.3. სს „საქართველოს ბანკი“ ფლობს წილს შემდეგ შვილობილ კომპანიებში:

- საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა გაერთიანებულ სამეფოში (100%) - მომხმარებელს სთავაზობს ინფორმაციის გაზიარებისა და საბაზრო კვლევის მომსახურებას.
- შპს „საქართველოს ფინანსური ინვესტიცია“ (100%) - ოპერირებს ისრაელის ბაზარზე და ძირითადად მოიცავს ინფორმაციის გაზიარებისა და საბაზრო კვლევის სერვისებს.
- შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (100%) - ოპერირებდა საქართველოში და მომხმარებლებს სთავაზობდა აგრო ლიზინგის, ავტო ლიზინგის, ავტომანქანის უკულიზინგის, ბიზნეს ლიზინგის და კერძო საკუთრების იჯარის ან ლიზინგის მომსახურებებს, თუმცა 2022 წლიდან შეწყვიტა ლიზინგების გაცემა.
- „ბენდერლოკ ინვესტმენტ ლიმიტედი“ (100%) - ახორციელებს საინვესტიციო საქმიანობას კვიპროსში და ფლობს 49.99%-იან წილს სს „ბელარუსის სახალხო ბანკში“.
- შპს პრაიმ ლიზინგი (100%, არაპირდაპირ) - კომპანია ამ ეტაპზე არ ახორციელებს აქტიურ ბიზნეს-საქმიანობას.
- სს „ბელარუსის სახალხო ბანკი“ (49.99%, არაპირდაპირ) - ოპერირებს ბელარუსში და ძირითადად გასწევს საცალო და მცირე და საშუალო საბანკო მომსახურებას.
- ბიენბი ლიზინგი (49.94%, არაპირდაპირ) - ოპერირებს ბელარუსში და მისი ძირითადი საქმიანობაა ლიზინგი და უძრავი ქონების გაქირავება.

ამასთან, სს „საქართველოს ბანკი“ აკონტროლებს (რაც გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად კონტროლს) ა(ა)იპ ფონდი სიცოცხლის ხეს, რომელიც არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და ახორციელებს არაკომერციულ, საქველმოქმედო ტიპის საქმიანობებს, მათ შორის: განათლების ხელშეწყობას, შშმ პირების სოციალურ რეაბილიტაციას, სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერას და განვითარებას, გარემოს დაცვის ხელშეწყობასა და კანონმდებლობით დაშვებულ სხვა საქმიანობებს.

2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, ბანკს საქართველოში 187 სერვისცენტრი ჰქონდა გახსნილი, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომაროებით სერვისცენტრების რაოდენობა 189 იყო.

2.1.4. ბიზნეს-განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპები

სს „საქართველოს ბანკი“ დაფუძნდა 1994 წელს და არის ბინსოცბანკის მემკვიდრე, რომელიც 1994 წლის პრივატიზაციამდე სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა. 2000 წელს სს „საქართველოს ბანკი“ იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც საქართველოს საფონდო ბირჟაზე განათავსა ფასიანი ქაღალდები. 2004 წელს ბანკმა შეცვალა მმართველი რგოლი, დასავლური განათლების და გამოცდილების მქონე პროფესიონალთა გუნდით. 2006 წელს სს „საქართველოს ბანკი“ გახდა პირველი ქართული კომპანია, რომელმაც მოახდინა გლობალური დეპოზიტარული ხელწერილების (GDR) განთავსება ლონდონის საფონდო ბირჟაზე. 2007 წელს კი სს „საქართველოს ბანკმა“ განათავსა სადებიუტო ევროობლიგაცია.

- 2012 წლის მარტში, Bank of Georgia Holdings PLC (BGEO Group PLC დასახელებით 2015 წლის 20 ნოემბრის შემდგომ) გახდა სს „საქართველოს ბანკის“ საბოლოო მშობელი კომპანია და განხორციელდა მისი აქციების საჯარო შეთავაზება ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში.
- 2014 წლის დეკემბერში, BGEO Group PLC-მა განახორციელა სს „საქართველოს ბანკის“ კორპორატიული სტრუქტურის რეორგანიზაცია, რაც ასახავდა მის ამბიციას, ემოქმედა, როგორც საქართველოზე ორიენტირებულ საბანკო ჯგუფს, რომელსაც ეყოლებოდა საინვესტიციო განშტოება. რეორგანიზაციის ფარგლებში, BGEO Group PLC-ის მოქმედი შვილობილი კომპანიები დაიყო ორ - საინვესტიციო და საბანკო - სეგმენტებად, რომელთაგან უკანასკნელშიც შედიოდა „ემიტენტი“.

- 2017 წლის 3 ივლისს, BGEO Group PLC-ის დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა ჰოლდინგური კომპანია გაეყო ლონდონის საფონდო ბირჟაზე განთავსებულ ორ ცალკეულ კომპანიად - Bank of Georgia Group PLC (2025 წლის თებერვლიდან Lion Finance Group PLC) და Georgia Capital PLC. გაყოფის პროცესი დასრულდა 2018 წლის 29 მაისს.
- 2018 წელს, საქართველოში განხორციელებული საბანკო რეგულაციების ცვლილებების (რის შედეგადაც საბანკო კომპანიებს აეკრძალათ საბანკო საქმიანობის გარდა სხვა ტიპის საქმიანობის წარმოება) და მისი ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, BGEO Group PLC-მ განახორციელა კორპორატიული რეორგანიზაცია. კერძოდ, განხორციელდა სს „საქართველოს ბანკისგან“ გარკვეული საინვესტიციო და ფინანსური მომსახურების აქტივების გამოყოფა. Bank of Georgia Group PLC-ის (ამჟამად Lion Finance Group PLC) სრულ საკუთრებაში არსებულ შვილობილ კომპანიად დაარსდა ახალი შუალედური ჰოლდინგი, JSC BGEO Group, რომელიც ოპერირებს, როგორც ქართული ჰოლდინგური კომპანია, საბანკო და საინვესტიციო სეგმენტებში. რეორგანიზაციის შედეგად ცალკე გამოიყო საინვესტიციო აქტივების მიმართულება, Georgia Capital PLC (ტიკერი: CGEO:LN), რომლის მთავარი საქმიანობაა ბიზნესების ყიდვა და განვითარება საქართველოს მასშტაბით.

რეორგანიზაციის შემდეგ, „ბანკმა“ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი წარმატებით განახორციელა, რაც მისდამი ინვესტორების მხრიდან მაღალ ნდობასა და მზარდ ფასწარმოქმნაში აისახა:

- 2019 წელს სს „საქართველოს ბანკის“ მენეჯმენტმა დაიწყო ახალი სტრატეგიის შესრულება, რომელიც ორიენტირებული იყო მომხმარებლებისთვის საუკეთესო ციფრული საბანკო გამოცდილების შეთავაზებაზე, რათა ბანკი ყოფილიყო მთავარი ყოველდღიური ბანკი საქართველოში. ამავე წელს, სს „საქართველოს ბანკმა“ პირველად განათავსა დამატებითი პირველადი კაპიტალის (AT1) $100 მლნ. მოცულობის ობლიგაციები ირლანდიის საფონდო ბირჟაზე.
- 2020 წელს სს „საქართველოს ბანკმა“ თავის ფინანსურ მობილურ აპლიკაციას დაამატა რიგი ინოვაციური ფუნქციები, მათ შორის peer-to-peer გადახდები, გადასახადების გაყოფა, ფულის მოთხოვნა და ციფრული ბარათი. „კომპანიამ“ დანერგა მომხმარებელთა გამოცდილების მართვის წამყვანი პროგრამული უზრუნველყოფის პლატფორმა, Medallia, და დაიწყო თანამშრომლობა Salesforce-თან, კლიენტებთან ურთიერთობის მართვის მსოფლიოში წამყვან პლატფორმასთან, რათა სხვადასხვა არხებზე ჰქონოდა უფრო სრული ხედვა მომხმარებელთა საჭიროებებზე, სურვილებსა და ქცევებზე. პანდემიის დროს „კომპანია“ ფოკუსირებული იყო კლიენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე, მომხმარებლებს შესთავაზა სესხის გადახდის უქმე დღეები და „კომპანიის“ კაპიტალი და ლიკვიდურობის პოზიციები ადექვატურ დონეზე უზრუნველყო.
- 2021 წელს სს „საქართველოს ბანკმა“ გამოუშვა ციფრული ონბორდინგი, რაც საშუალებას აძლევდა ინდივიდებს, გაეხსნათ საბანკო ანგარიში ფილიალში ვიზიტის გარეშე. „კომპანიამ“, მობილურ აპლიკაციაში ასევე დაამატა ორი ახალი პროდუქტი - სესხის განვადება ელექტრონულ კომერციაში და ინვესტიციები. ბანკმა სრულად შეცვალა სამომხმარებლო დაკრედიტების და დეპოზიტების გააქტიურების პროცესი თავის მობილურ აპლიკაციაში, რის შედეგადაც გაიზარდა პროდუქტის გაყიდვები ციფრულ არხებში. ასევე, „კომპანიამ“ შექმნა მობილური აპლიკაცია ბიზნეს კლიენტებისთვის და გამოუშვა ახალი სადებეტო ბარათი - PLUS - American Express-ით, მათი მეორე სადებეტო ბარათის პროექტი მთელ მსოფლიოში და პირველი EMEA-ში.
- 2022 წელს სს „საქართველოს ბანკმა“ გამოუშვა sCoolApp, საქართველოში პირველი მობილური აპლიკაცია სკოლის მოსწავლეებისთვის. ასევე, „კომპანიამ“ თავის მობილურ აპლიკაციას დაამატა სადაზღვეო სივრცე. სს „საქართველოს ბანკის“ ყოველთვიურად აქტიურმა ციფრულმა მომხმარებლებმა გადააჭარბა ერთ მილიონს. Global Finane-ისგან მიღებულ ჯილდოთა შორის, „ბანკმა“ 2022 წელს მოიპოვა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო მობილური აპლიკაციის ჯილდო.
- 2024 წელს, აპრილში, სს „საქართველოს ბანკმა“ და მისმა მშობელმა კომპანიამ, Bank of Georgia Group PLC-მ (მიმდინარედ Lion Finance Group PLC), განაცხადეს ამერიაბანკის შეძენის ტრანზაქციის დასრულების შესახებ. Lion Finance Group PLC-მ შეიძინა 60%, ხოლო სს საქართველოს ბანკმა შეიძინა 30% წილი ამერიაბანკის ჯამურ გამოშვებულ სააქციო კაპიტალში. დარჩენილ 10%-იან წილს ფლობს EBRD, მხარეებს (ემიტენტს, Lion Finance Group PLC-ისა და EBRD-ს) შორის მოქმედებს ფუთ და ქოლ ოფციის შეთანხმება.
- 2024 წლის აპრილში საქართველოს ბანკმა წარმატებით განათავსა 300 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის 9.5%-იანი მუდმივი დამატებითი პირველადი კაპიტალის (AT1) ობლიგაციები. გარდა ამისა, 2024 წლის ივნისში, საქართველოს ბანკმა სრულად გამოისყიდა არსებული 100 მილიონი აშშ დოლარის მოცულობის AT1 ობლიგაციები, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი თავის მყარ კაპიტალის პოზიციასა და შიდა კაპიტალის გენერირების მაღალ დონეს.

- 2024 წელს Global Finance-მა საქართველოს ბანკი მსოფლიოს საუკეთესო ციფრულ ბანკად დაასახელა, რაც ასახავს ბანკის ფოკუსსა და მზაობას, მომხმარებლებს მიაწოდოს ინოვაციური, ინკლუზიური და მათზე ორიენტირებული ციფრული საბანკო სერვისები.
- 2025 წელს საქართველოს ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას შეეცვალა სახელი და Bank of Georgia Group PLC-ს ნაცვლად გახდა Lion Finance Group PLC. ამასთან, სს „საქართველოს ბანკი“ Global Finance-ს მიერ, ზედიზედ მეორედ, დასახელებული იქნა მსოფლიოს საუკეთესო ციფრულ ბანკად. 2025 წლის მეოთხე კვარტალში სს „საქართველოს ბანკმა“ განათავსა 450,000,000 ლარის მოცულობით ევრობლიგაციები, რომლის ერთ-ერთ მსხვილ ინვესტორსაც წარმოადგენს International Finance Corporation (IFC).

2.2. პერიოდული ანგარიშგებები IFRS სტანდარტების შესაბამისად

ქვემოთ წარმოდგენილი პერიოდების ქართულ ენაზე მომზადებული კონსოლიდირებული აუდიტირებული ანგარიშგებები პროსპექტში ჩართულია მითითების მეშვეობით და წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

- 2025 HY ფინანსური მენეჯერული (კონსოლიდირებული) და 2024, 2023 წლების აუდიტირებული კონსოლიდირებული ანგარიშგებები IFRS სტანდარტების შესაბამისად: https://reportal.ge/ka/Reports/Report?q=204378869;

2.3. საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებული ანგარიშგებები

ქვემოთ წარმოდგენილი პერიოდების ქართულ ენაზე მომზადებული ანგარიშგებები პროსპექტში ჩართულია მითითების მეშვეობით და წარმოადგენს პროსპექტის განუყოფელ ნაწილს.

- პილარ 3 კვარტალური 2025 წლის 1-ლი, მე-2 და მე-3 კვარტლებისთვის, 2024 და 2023 წლებისთვის: www.nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter;
- პილარ 3 წლიური 2024 და 2023 წლებისთვის: www.nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Annual.

2.4. „ემიტენტის“ რეიტინგი

„ემიტენტს“ Fitch Ratings-ისგან მინიჭებული აქვს BB გრძელვადიანი, სტაბილური და B მოკლევადიანი რეიტინგი. Moody's-სგან „ემიტენტს“ მინიჭებული აქვს Ba2 გრძელვადიანი დეპოზიტ რეიტინგი უარყოფითი პერსპექტივით და ba2 საკრედიტო შეფასება (Baseline Credit Assessment).

ცხრილი 1: საკრედიტო რეიტინგების შეჯამება

სააგენტო: Fitch Ratings	სააგენტო: Moody's
რეიტინგი: BB	რეიტინგი: Ba2
პერსპექტივა: სტაბილური	პერსპექტივა: უარყოფითი
თარიღი: 28 ნოემბერი, 2025 წელი	თარიღი: 8 აპრილი 2025 წელი

2.5. ძირითადი ბაზრების აღწერა, რომელზეც წარმოდგენილია ემიტენტი:

„ჯგუფის“ შემოსავლების უმეტესი ნაწილი გენერირდება საქართველოში, რის გამოც მის ფინანსურ მაჩვენებლებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს პოლიტიკური, ფინანსური და ეკონომიკური ფაქტორები საქართველოში და რეგიონში. რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის ინფლაციამ, საპროცენტო და უცხოური ვალუტის გაცვლითმა კურსმა, უმუშევრობის დონემ, პირადმა შემოსავალმა, ტურიზმის დონემ და ქართული კომპანიების ფინანსურმა მდგომარეობამ, შესაძლოა გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ შედეგებსა და ოპერაციებზე.

კოვიდ-19 პანდემიიდან მომდინარე კრიზისმა მნიშვნელოვანი ნეგატიური გავლენა მოახდინა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც მნიშვნელოვნად შეეხო ტურიზმის სექტორს, რომლის წილი საქართველოს ეკონომიკაში საგრძნობლად მაღალია. საქსტატის მონაცემებით, 2020 წელს საქართველოს ეკონომიკა 6.3%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. პანდემიასთან საბრძოლველად მთავრობამ ფისკალური სტიმულირების პაკეტი შეიმუშავა და შემცირებული შემოსავლებისა და გაზრდილი ხარჯების შედეგად ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის 9.2% შეადგინა, ხოლო მთავრობის ვალმა მშპ-ის 59.6%-ს მიაღწია.

კოვიდ პანდემიის შემდეგ საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად დაჩქარდა. კორონავირუსის პანდემიის მართვისთვის დაწესებული შეზღუდვების ეტაპობრივი მოხსნის შედეგად, 2021 წლის მარტიდან საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღება დაიწყო და 2021 წელს საქართველოს ეკონომიკა 2020 წელთან შედარებით 10.6%-ით გაიზარდა, ხოლო 2019 წლის დონესთან შედარებით - 3.7%-ით. 2022 წლის დასაწყისში რუსეთ-უკრაინის ომმა გაზარდა ბუნდოვანება, შეფერხებები ვაჭრობაში და ნედლეულის ფასები, რამაც განსაკუთრებულად უარყოფითი გავლენა მოახდინა რეგიონზე. ომის მოსალოდნელმა უარყოფითმა შედეგებმა ქართულ ეკონომიკაზე გამოიწვია ეკონომიკის ზრდის მიმართ მოლოდინების გაუარესება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა გამოავლინა რეგიონული შოკისადმი და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ეკონომიკური აქტივობის დონე, ზრდის მოლოდინებმა გაუმჯობესება დაიწყო. პოსტპანდემიურ პერიოდში ტურიზმა სტაბილური ტემპით დაიწყო აღდგენა და 2021 წლის განმავლობაში საერთაშორისო ვიზიტორების ნაკადმა 2019 წლის 22.3% შეადგინა, ხოლო ტურიზმიდან შემოსავლების აღდგენა უფრო სწრაფი იყო 1 ტურისტის მიერ გაზრდილი ხარჯების გამო და 2019 წლის დონის 38.1% შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში, საქართველოდან საქონლის ექსპორტის ზრდის ტემპები მნიშვნელოვნად დაჩქარდა, რაც, თავის მხრივ, ნედლეულზე მომატებული ფასებითა და მზარდი რეექსპორტით იყო განპირობებული. ადგილობრივ ბაზარზე ერთობლივი მოთხოვნა მყარი იყო, რასაც ხელს უწყობდა მთლიანი საკრედიტო პორტფელის ჯანსაღი ზრდა და ფისკალური დანახარჯები. მაღალი ეკონომიკური ზრდა 2022 წელსაც გაგრძელდა. საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით, რეალური მშპ-ის წლიურმა ზრდამ 11.0% შეადგინა 2022 წელს, რაც ძირითადად რეკორდულად მაღალმა სავალუტო შემოდინებებმა განაპირობა. ამ შემოდინებების გარკვეული ნაწილი უკავშირდება რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან მიგრანტების მიერ კაპიტალის რეალოკაციას რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც. ტურიზმის აღდგენის ტემპი დაჩქარდა - საერთაშორისო ვიზიტორებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დონემ, შესაბამისად, 2019 წლის დონის 60.9% და 107.6% შეადგინა.

მაღალი სავალუტო შემოდინებები 2023-24 წლებშიც შენარჩუნდა და საქსტატის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა 7.8%-ით და 9.7%-ით გაიზარდა, შესაბამისად, 2023 და 2024 წელს. აღსანიშნავია, რომ სავალუტო შემოდინებების წყაროები უფრო დივერსიფიცირებული გახდა - ტურიზმის შემოსავლებს, ფულად გზავნილებს, საქონლის ექსპორტს და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებს დაემატა შემოსავლები IT მომსახურების ექსპორტიდან და ასევე უცხოელი სტუდენტების მზარდი ნაკადიდან გამომდინარე სოლიდური შემოსავლების გენერირება. 2024 წელს საერთაშორისო ვიზიტორების აღდგენა კიდევ უფრო გაუმჯობესდა და 2019 წლის 83.6% შეადგინა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები წლიურად 7.3%-ით გაიზარდა 4.4 მლრდ აშშ დოლარამდე, რაც 2019 წლის 135.4%-ია. სოლიდური სავალუტო შემოდინებების შედეგად, 2024 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 5.4%-მდე შემცირდა, რაც ისტორიულად ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს მომსახურების ბალანსის გაუმჯობესებას, რომელიც 2024 წელს წლიურად 12.5%-ით გაიზარდა. მაღალი ეკონომიკური ზრდის პარალელურად უმუშევრობის შემცირება გაგრძელდა და 2024 წელს 13.9% შეადგინა, რაც შემცირებულია 2023 წლის 16.4%-დან.

რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს, წლების მანძილზე ლარის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა როგორც საგარეო შოკების, ასევე სეზონური ფაქტორების გამო. მათგან აღსანიშნავია: 2015 წლის ნავთობის და ინდუსტრიული საქონლის ფასების გლობალური შოკი, 2019 წელს რუსეთის მიერ პირდაპირი საჰაერო ფრენების აკრძალვა, 2020 წელს კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული პრობლემები (რა დროსაც გაცვლითმა კურსმა ისტორიულ მაქსიმუმს, 1 აშშ დოლარზე 3.48 ლარს, მიაღწია), 2022 წელს რუსეთის შეჭრა უკრაინაში. რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ფაზაში ლარმა რეგიონის სხვა ვალუტებთან ერთად მოულოდნელი გაუფასურება დაიწყო. 2022 წლის 24 თებერვალსა და 10 მარტს შორის პერიოდში ლარი დოლართან მიმართებით 12.8%-ით გაუფასურდა და 1 დოლარის ღირებულებამ 3.40 ლარი შეადგინა. მომდევნო თვეებში საქართველოს ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა რეგიონული შოკის მიმართ და შეინარჩუნა კაპიტალის შემოდინებისა და ქვეყნის შიდა აქტივობის დონე, რის შედეგადაც ლარმა გამყარების ტენდენცია შეიძინა და მისი ღირებულება, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიურად 12.8%-ით გაიზარდა აშშ დოლართან მიმართებით, ხოლო 2023 წლის განმავლობაში სტაბილური იყო. 2024 წელს, მიუხედავად სტაბილური სავალუტო შემოდინებებისა, პოლიტიკური

გაურკვევლობების ფონზე ლარის გაცვლით კურსზე გაუფასურების მიმართულებით მსხვილი ერთჯერადი შეტევები განხორციელდა მაისი-ივნისის და სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში. განსაკუთრებით, წინასაარჩევნოდ შექმნილი გაურკვევლობებიდან გამომდინარე, ეროვნულ ბანკს მოუხდა 591.1 მლნ აშშ დოლარის გაყიდვა ლარზე გაუფასურების წნეხის მოსახსნელად 2024 წლის ოქტომბერში. ჯამურად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2024 წელს სავალუტო ბაზარზე გაყიდა 917.4 მლნ აშშ დოლარი, ხოლო შეისყიდა 482.6 მლნ აშშ დოლარი. 2025 წლის იანვარ-აგვისტოში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ მნიშვნელოვნად გამყარდა, რაც ძირითადად განპირობებული იყო მზარდი სავალუტო შემოდინებებით, უცხოური ვალუტის დეპოზიტების ლარში კონვერტაციით და დოლარის ინდექსის გლობალური დასუსტებით. ამ ფონზე, საქართველოს ეროვნულ ბანკს შესაძლებლობა მიეცა სავალუტო ბაზარზე შესყიდვები დაეწყო და ჯამურად, 2025 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში 1.5 მლრდ აშშ დოლარი შეიძინა, რომლითაც საერთაშორისო რეზერვები გასული წლის 4.4 მლრდ აშშ დოლარიდან 5.4 მლრდ აშშ დოლარამდე გაიზარდა სექტემბრის მდგომარეობით.

ბოლო პერიოდში ლარის კურსის ცვლილებები სხვა ფაქტორებთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინფლაციაზე. 2019 წლიდან მოყოლებული ინფლაცია საქართველოს ეროვნული ბანკის მიზნობრივ 3.0%-ზე მაღლა ნარჩუნდებოდა 2023 წლამდე. საქსტატის მონაცემებზე დარყდნობით, 2019 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 4.9% იყო, 2020 წელს - 5.2%, 2021 წელს - 9.6%, ხოლო 2022 წელს - 11.9%. გაზრდილი ინფლაციის პასუხად, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკა გაამკაცრა - 2021 წლის მარტიდან 2022 წლის მარტის ჩათვლით მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 300 საბაზისო პუნქტით 11.0%-მდე გაზარდა და 2023 წლის მაისამდე შეინარჩუნა აღნიშნულ დონეზე. 2023 წელს, ინფლაცია სწრაფად შემცირდა, რაზეც გამკაცრებულ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად დადებითად იმოქმედა საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობპროდუქტების ფასების კლებამ და ლარის გამყარებამ. 2023 წლის აპრილიდან წლიური ინფლაცია მიზნობრივ 3.0%-ს ჩამოცდა, რომელიც 2025 წლის მარტამდე შენარჩუნდა - საშუალო წლიურმა ინფლაციამ 2.5% შეადგინა 2023 წელს, რომელიც 2024 წელს 1.1%-მდე შენელდა. ინფლაციის შემცირებაზე ძირითადად გავლენა ჰქონდა გლობალურ ბაზრებზე საკვების და ნავთობის ფასების კლებას, ასევე საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულების შემცირებას, ლარის გამყარებას, მკაცრ მონეტარულ პოლიტიკას და ფისკალური დეფიციტის შემცირებას. მას შემდეგ, რაც ინფლაცია მის მიზნობრივ დონეს ჩამოცდა, ეროვნულმა ბანკმა დაიწყო მონეტარული პოლიტიკის შერბილება და 2023 წლის მაისი 2024 წლის მაისის პერიოდში რეფინანსირების განაკვეთი ჯამურად 300 საბაზისო პუნქტით 8.00%-მდე შეამცირა. 2025 წლის მარტიდან სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ მიზნობრივ 3.0%-ს გადააჭარბა და 2025 წლის სექტემბერში 4.8% შეადგინა, რაზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს სურსათის ფასებს, მაშინ როცა ნავთობპროდუქტების ფასები წლიურად შემცირებულია. მოსალოდნელია, რომ 2025 წელს საშუალო წლიური ინფლაცია მიზნობრივ დონეზე მაღლა შენარჩნდება. ამასთან, მიმზიდველი მაკროეკონომიკური პარამეტრების ფონზე, გაუმჯობესდა ფისკალური პარამეტრებიც. 2024 წელს ბიუჯეტის დეფიციტმა მშპ-ის მიმართ 2.3% შეადგინა, ხოლო მთავრობის ვალი მშპ-ის მიმართ 35.7%-ს გაუტოლდა, რაც პანდემიამდელ დონეზე უკეთესი მაჩვენებელია.

ცხრილი 2: ბიზნესის კეთების ძირითადი მაჩვენებლები საქართველოში

ბიზნესის მზაობის ინდექსი #3 50 ქვეყანას შორის წყარო: World Bank, 2024	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი #35 176 ქვეყანას შორის წყარო: The Heritage Foundation, 2025
ბიზნესის კორუფციის რისკის ინდექსი #44 194 ქვეყანას შორის წყარო: TRACE International, 2024	კორუფციის აღქმის ინდექსი #53 180 ქვეყანას შორის წყარო: Transparency International, 2024

ცხრილი 3: საქართველოს რეიტინგი და პერსპექტივა მსოფლიო სარეიტინგო სააგენტოების მხრიდან

სააგენტო: Fitch	სააგენტო: S&P	სააგენტო: Moody's
რეიტინგი: BB	რეიტინგი: BB	რეიტინგი: Ba2
პერსპექტივა: სტაბილური	პერსპექტივა: სტაბილური	პერსპექტივა: უარყოფითი
თარიღი: 2025 წლის ნოემბერი	თარიღი: 2025 წლის აგვისტო	თარიღი:2025 წლის მარტი

2022 წელი რთული იყო. სანამ რეგიონი ებრძოდა COVID-19-ის პანდემიის შედეგებს, მან მიიღო კიდევ ერთი სერიოზული დარტყმა - რუსეთმა უკრაინაში ომი დაიწყო. გეოპოლიტიკური ტურბულენტობის ფონზე, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებები პრობლემური გახდა და საქონელზე ფასები მკვეთრად გაიზარდა. ბიზნესებმა დაიწყეს დაზარალებული რეგიონებიდან გასვლა და საერთაშორისო სავაჭრო ნაკადები გადამისამართდა. საქართველოს ეკონომიკამ გამძლეობა აჩვენა მისი უსაფრთხო და ბიზნესმეგობრული გარემოსა და მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით. შესაბამისად, რეგიონიდან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მიგრანტებისა და საერთაშორისო კომპანიების მნიშვნელოვანი რაოდენობა გადმოვიდა საქართველოში. საქართველომ ასევე მოიზიდა საერთაშორისო სატვირთო ექსპედიტორები, რაც უზრუნველყოფს მოსახერხებელ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ დერეფანს საერთაშორისო სავაჭრო ნაკადებისთვის.

ამასთან, აღსანიშნავია რომ 2023 წლის ოქტომბერში დაიწყო ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი ახლო აღმოსავლეთში. იყო რისკი რომ აღნიშნული კონფლიქტი ფართომასშტაბიან ომში გადაზრდილიყო, რაც დიდი ალბათობით გამოიწვევდა საერთაშორისო ბაზრებზე სურსათის, ნავთობის და სხვა ნედლეულის ფასების ზრდას, სატვირთო გადაზიდვების შეფერხებას, მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის შემცირებას და საბოლოოდ ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის შემცირებას. ასევე აღსანიშნავია, 2025 წლის ივნისში ისრაელ-ირანის რამდენიმე დღიანი სამხედრო დაპირისპირება, რამაც დიდი გაურკვევლობა შექმნა მსოფლიოში - მყისიერად გაიზარდა ნავთობის ფასები, წარმოშვა მიწოდების ჯაჭვებთან დაკავშირებული პრობლემები და გაჩნდა ინფლაციური მოლოდინები. ამ ფონზე იყო მოლოდინი, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობა შენელდებოდა. ვინაიდან, საქართველოს როგორც ისრაელთან, ისე ირანთან აქვს ეკონომიკური კავშირები, კონფლიქტის გახანგრძლივებას შესაძლოა გამოეწვია ფასებზე და ეკონომიკურ აქტივობაზე მოკლევადიანი ზეწოლა.

ქვეყნის მიმართ მზარდი ინტერესის გათვალისწინებით, საგარეო შემოდინებები უკვე ბოლო 5 წელია საგრძნობლად მზარდია, გაფართოვდა საერთაშორისო ვაჭრობა და გაძლიერდა საინვესტიციო აქტივობა. საქართველოში სავალუტო შემოდინებები ექსპორტის, ტურიზმის, ფულადი გზავნილების, სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არხებიდან წლიურად 74.9%-ით 16.3 მილიარდ აშშ დოლარამდე გაიზარდა 2022 წელს, ხოლო 2023 წელს რეკორდულ 17.2 მილიარდ აშშ დოლარს გაუტოლდა. 2024 წელს აღნიშნული არხებიდან მიღებულმა შემოსავლებმა 16.8 მილიარდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მცირედით შემცირებულია წინა წელთან შედარებით, ძირითადად იმის გამო რომ ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლები 3.4 მილიარდ აშშ დოლარის ფარგლებში დასტაბილურდა 2022 წელს მიღებული რეკორდული 4.4 მილიარდი აშშ დოლარის შემდეგ (მიგრაციის ეფექტით). განსაკუთრებით აღსანიშნავია, სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტიდან მზარდი შემოსავლები 2021 წლიდან, რომელიც კიდევ გაძლიერდა 2022 წლიდან IT სპეციალისტების მიგრანტების შედეგად.

მიუხედავად იმისა, რომ კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ გლობალური ეკონომიკური ზრდა შენელებულია სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის ფასების ზრდის, ენერგოკრიზისისა, ფინანსური პირობების გამკაცრების და ა.შ. ფონზე, საქართველოს ეკონომიკა თითქმის სრული სიმძლავრით მუშაობს გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნა ძირითადად ციკლურია, გაზრდილი ინვესტიციები და კაპიტალის რელოკაცია ხელს შეუწყობს ზრდის პერსპექტივების გაუმჯობესებას საშუალოვადიან პერსპექტივაში. სამომხმარებლო და საინვესტიციო ხარჯების ზრდამ, ძლიერ საგარეო შემოდინებებთან ერთად, ხელი შეუწყო საქართველოს რეალური მშპ-ს ორნიშნა ზრდას 2021-22 წლებში (10.6% 2021 წელს, 11.0% 2022 წელს), რომელიც მაღალ დონეზე შენარჩუნდა შემდგომ, კერძოდ, 2023 წელს საქართველოს ეკონომიკა 7.8%-ით, 2024 წელს 9.7%-ით გაიზარდა, ხოლო 2025 წლის იანვარ-ივლისში საქსტატის წინასწარი მონაცემებით საქართველოს რეალური მშპ წლიურად 8%-ით არის გაზრდილი.

მზარდი საექსპორტო, ფულადი გზავნილების, ტურიზმისა და IT მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების ფონზე, საგარეო საგადასახადო ბალანსი კიდევ უფრო გაუმჯობესდა, რაც ხელს უწყობს ქართული ლარის გამყარებას. 2024 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 5.3%-მდე შემცირდა (10.3% იყო 2021 წელს, 4.4% 2022 წელს და 5.5% 2023 წელს). ლარის გამყარებამ, რასაც თან ახლდა შემოსავლების სწრაფი ზრდა, განაპირობა კერძო სექტორის სავალო ტვირთის შემცირება - 2019 წლის მაჩვენებელზე დაბლა. ამასთან, ტურიზმის საგრძნობი

აღდგენისა და მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად უმუშევრობა 2021 წლის 20.6%-დან 13.9%-მდე შემცირდა 2024 წელს. მაღალი ეკონომიკური ზრდისა და ლარის გამყარებამ ასევე მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფისკალური პარამეტრები - 2024 წელს ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის მიმართ 2.3%-მდე შემცირდა, 2021 წლის 6.0%-დან (9.2% იყო 2020 წელს), ხოლო მთავრობის ვალი მშპ-ს მიმართ 35.7%-მდე შემცირდა 2024 წელს, რეკორდულად მაღალი 59.6%-იანი ნიშნულიდან, რომელიც 2020 წელს დაფიქსირდა.

ცხრილი 4: ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

მაკროეკონომიკური პოლიტიკა

ბიუჯეტის დეფიციტი (მშპ-ის %) 2024 წელს	მთავრობის ვალი (მშპ-ის %) 2024 წელს	მთლიანი საერთაშორისო რეზერვები
		2025 წლის სექტემბერი
2.3%	35.7%	$ 5.4 მილიარდი
-0.1 პპ წ/წ	-3.2 პპ წ/წ	+15.2% პპ წ/წ

საქართველოს ეკონომიკის საგარეო სექტორი 2025 წლის იანვარ-ივნისი

საქონლის ექსპორტი	საქონლის იმპორტი
+13.7% წ/წ	+15.9% წ/წ
$ 3.2 მილიარდი	$ 9.0 მილიარდი
წმინდა ფულადი გზავნილები	**შემოსავალი საერთაშორისო ტურიზმიდან**
+2.8% წ/წ	+3.8% წ/წ
$ 1.5 მილიარდი	$ 2.0 მილიარდი

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

2.6. საბანკო სექტორის მოკლე მიმოხილვა

საბანკო სექტორის განვითარება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, როდესაც აქტიურად იქმნებოდა შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობები. 1871 წელს დაარსდა თბილისის პირველი კომერციული ბანკი და ამ დროიდან მოყოლებული საბანკო სექტორი მუდმივად ვითარდება. დღეისათვის საქართველოში 17 ლიცენზირებული კომერციული ბანკია. 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ორი უმსხვილესი ბანკის წილი მთლიანი საბანკო აქტივების 77%-ს შეადგენდა, რაც სექტორის საკმაოდ მაღალ კონცენტრაციაზე მეტყველებს. საქართველოს ბანკის წილი ჯამურ საბანკო აქტივებში 2025 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 39.1% იყო (აღნიშნული მაჩვენებელი 2024 წლის ბოლოს 39.3%-ს, ხოლო 2023 წლის ბოლოს 37.8%-ს შეადგენდა). საბანკო სექტორი საქართველოს ეკონომიკის ერთ–ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კერძო დარგია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) გონივრული რეგულირების შედეგად საბანკო სექტორმა ბოლო წლებში გამოვლენილი სხვადასხვა საგარეო შოკის მიმართ სტაბილურობა და გამძლეობა აჩვენა.


საბანკო სექტორის განვითარების დადებით დინამიკას ადასტურებს 2022-2023 წლებში სამი ციფრული ბანკის, ხოლო 2024-2025 წლებში ორი მიკრობანკის საქმიანობის ლიცენზიის გაცემა. ეს ტენდენცია ხელს უწყობს როგორც ფინანსური ჩართულობის ზრდას, ისე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებას. მიკრობანკები უზრუნველყოფენ დაფინანსების ხელმისაწვდომობას სამეწარმეო სექტორში, ხოლო ციფრული ბანკები ტექნოლოგიური ინოვაციებით ხელს უწყობენ სექტორის საერთო მოდერნიზაციას.

2025 წლის პირველ ნახევარში საბანკო დაკრედიტება მცირედით შენელდა და ნომინალურ ეკონომიკურ ზრდას დაუახლოვდა, რაც მის ჯანსაღ და მდგრად ტენდენციაზე მეტყველებს. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით, ჯამური საბანკო პორტფელის წლიურმა ზრდამ გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 15.6% შეადგინა (2024 წელს

საკრედიტო ზრდა 17.0% იყო). დაკრედიტების მიმდინარე ზრდაში წამყვანი წვლილი ბიზნეს სესხებს შეაქვს, რაც ფინანსური რესურსების უფრო პროდუქტიულ განაწილებას ასახავს და დადებითად მოქმედებს საშუალოვადიანი ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე. საბანკო სესხების ზრდაში ასევე მაღალი კონტრიბუცია აქვს სამომხმარებლო სესხებს, რაც შინამეურნეობების პოზიტიურ ეკონომიკურ მოლოდინებზე მიუთითებს. ეკონომიკური ზრდის ნომრალიზაციისა და მკაცრი მონეტარული პოლიტიკის ფონზე, იპოთეკურ სესხებზე წვდომის შესანარჩუნებლად სებ-მა 2025 წლის დასაწყისში სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები (LTV) შეარბილა - ეროვნულ ვალუტაში 85%-დან 90%-მდე, ხოლო უცხოურ ვალუტაში 70%-დან 80%-მდე. შედეგად, მოსალოდნელია, რომ იპოთეკური სესხების ზრდის ტენდენცია ჯანსაღ ნიშნულზე შენარჩუნდება.


საბანკო დაკრედიტებაში ეროვნული ვალუტის სესხები დომინირებს, რაც გარკვეულწილად სებ-ის დედოლარიზაციის პოლიტიკას ასახავს. აღნიშნული პოლიტიკა ემყარება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას, რომელიც გაცვლითი კურსის რისკის მიმართ მოწყვლადი მსესხებლების დაცვაზეა ორიენტირებული და ამავდროულად ფინანსებზე შეუფერხებელ წვდომას უზრუნველყოფს. 2025 წლის 1 აგვისტოდან სებ-მა სავალუტო სესხის მინიმალური ლიმიტი 500,000 ლარიდან 750,000 ლარამდე გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ეს რეგულაცია არ ვრცელდება სავალუტო რისკის მიმართ ჰეჯირებულ მსესხებლებზე. დედოლარიზაციის პოლიტიკის ფონზე საბანკო სესხების დოლარიზაციის დონე შემცირებას განაგრძობს. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით ჯამურ საბანკო სესხებში უცხოური ვალუტის სესხების წილმა 43% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საბანკო დეპოზიტების დოლარიზაცია შედარებით მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება და იმავე პერიოდის მდგომარეობით 50%-ს შეადგენს. დეპოზიტების გალარების დამატებით ხელშესაწყობად 2024 წლის ბოლოს სებ-მა უცხოური ვალუტის მოკლევადიან ვალდებულებებზე მინიმალური სარეზერვო მოთხოვნის ზედა ზღვარი 20%-დან 25%-მდე გაზარდა.

გრაფიკი 1. საბანკო დაკრედიტების ზრდა საქართველოში



წყარო: საქსტატი, სებ

გრაფიკი 2. უმოქმედო სესხების ფარდობა მთლიან სესხებთან შერჩეულ ქვეყნებში, 2025 წლის მარტი



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

საბანკო სექტორი მაღალი მომგებიანობით, ლიკვიდობითა და კაპიტალიზაციით ხასიათდება. 2025 წლის ივნისის მდგომარეობით სექტორის წლიურმა მომგებიანობამ კაპიტალზე (ROE) 21.7% შეადგინა, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) 127.9% იყო, ხოლო ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET1) კოეფიციენტი 17.1%-ს გაუტოლდა. ამასთან, საბანკო სესხების ჯამური პორტფელის ხარისხი მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მეთოდოლოგიით, 2025 წლის მარტის მდომარეობით უმოქმედო სესხების მთლიან საბანკო სესხებთან ფარდობამ (NPL ratio) 1.5% შეადგინა, რაც რეგიონში ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.

2.7. იმ მნიშვნელოვანი მოვლენის აღწერა, რამაც მატერიალური გავლენა შეიძლება მოახდინოს ემიტენტის ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობაზე:

ყველა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შესაძლაოა მატერიალური გავლენა მოახდინოს „ემიტენტის“ ფინანსურ მდგომარეობასა და გადახდისუნარიანობაზე კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისადაა გამჟღავნებული საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებში, მათ შორის, წინამდებარე 2.2. და 2.3. ქვეთავებით გათვალისწინებული ინფორმაცია (დეტალებისთვის, იხ. „*2.2. პერიოდული ანგარიშგებები IFRS სტანდარტების შესაბამისად*“ და „*2.3. საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებული ანგარიშგებები*“).

3. მოზიდული სახსრების გამოყენება

„ობლიგაციების“ ემისიიდან მიღებული სახსრების გამოყენებას „კომპანია“ გეგმავს „ემიტენტის“ სტანდარტული/ჩვეულებრივი საბანკო საქმიანობის დასაფინანსებლად.

4. შეთავაზებასთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტების ხელმისაწვდომობა

- „კომპანიის“ წესდება (ატვირთულია საჯარო რეესტრის პორტალზე www.napr.gov.ge; რეგისტრაციის ნომერი: B25107853);
- „კომპანიის“ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (www.napr.gov.ge; განაცხადის ნომერი: B25173812);
- „კომპანიის“ ფინანსური და საზედამხედველო ანგარიშგებები (შესაბამისი ელექტრონული ბმულები იხილეთ სექციაში: *„2.2. პერიოდული ანგარიშგებები IFRS სტანდარტების შესაბამისად“* და *2.3 „საზედამხედველო მიზნებისთვის მომზადებული ანგარიშგებები“*);
- ხელშეკრულება „კალკულაციისა და გადახდის აგენტსა“ და „ემიტენტს“ შორის.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები, გარდა გამოქვეყნებული ინფორმაციის და დოკუმენტებისა (რაც მითითებულია შესაბამისად), წარმოადგენს კონფიდენციალურ დოკუმენტებს, რომელთა გამოქვეყნებასაც „ემიტენტი“ არ გეგმავს, თუმცა აღნიშნული დოკუმენტების გაცნობა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის ფიზიკური ფორმით შესაძლებელია „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებულ მისამართზე, ისევე როგორც ელექტრონული ფორმით, „პროსპექტში“ მითითებული ელექტრონული ფოსტიდან გამოთხოვის შემთხვევაში. არსებული ინვესტორებისთვის აღნიშნული დოკუმენტების ბოლო ხელმისაწვდომი ვერსიის გაზიარება ელექტრონული ფორმით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი

„ემიტენტი“ და „განთავსების აგენტი“, რომელიც ასევე არის „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“, არაპირდაპირ დაკავშირებულ პირებს წარმოადგენენ, რამდენადაც „ემიტენტის“ და „განთავსების აგენტის“ / „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Lion Finance Group PLC, რომელიც, თავის მხრივ, დალისტულია ლონდონის საფონდო ბირჟის პრემიუმ ლისტინგის სეგმენტში (ტიკერი: BGEO:LN).

„პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის, „ემიტენტის“ 100.00%-იანი არაპირდაპირი მესაკუთრე (Lion Finance Group PLC), არაპირდაპირ ფლობს სს „გალტ ენდ თაგარტის“ 100%-ს. ამასთან, „ემიტენტის“ მენეჯმენტის გუნდის წევრები წარმოადგენენ სს „გალტ ენდ თაგარტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, კერძოდ:

- არჩილ გაჩეჩილაძე, სს „გალტ ენდ თაგარტის“ საბჭოს თავმჯდომარე, არის „ემიტენტის“ გენერალური დირექტორი;
- სულხან გვალია, სს „გალტ ენდ თაგარტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, არის „ემიტენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე ფინანსების მიმართულებით;
- დავით ჭყონია, სს „გალტ ენდ თაგარტის“ საბჭოს წევრი, არის „ემიტენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების მართვის მიმართულებით.

მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ რისკ ფაქტორად, „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია და სამომავლოდაც დაიდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით/საფუძველზე.

„პროსპექტის“ მომზადების თარიღისთვის „ემიტენტთან“ დაკავშირებული კომპანიები, სს „ბიჯი ფაინანშიალ“ (სს „ბიჯი ფაინანშიალს“ და „ემიტენტს“ ჰყავთ ერთი საბოლოო მშობელი კომპანია) და სს „გალტ ენდ თაგარტი“, ფლობენ, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ 2.00%-იან და 15.33%-იან წილებს, ხოლო ზურაბ ქოქოსაძე, „ემიტენტის“ გენერალური დირექტორის მოადგილე კორპორატიული საბანკო მომსახურების მიმართულებით, იკავებს სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოზიციას. მიუხედავად იმისა, რომ პოტენციური ინვესტორების პერსპექტივიდან ასეთი კავშირი შეიძლება ჩაითვალოს პოტენციურ რისკ ფაქტორად, „ემიტენტი“ მიიჩნევს, რომ ამგვარი რისკი არაარსებითია, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ყველა ხელშეკრულება დადებულია და სამომავლოდაც დაიდება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, კომერციული მიზანშეწონილობის გათვალისწინებით/საფუძველზე.

„ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია შეთავაზებასთან დაკავშირებული სხვა არსებული ან პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესახებ.

6. ინფორმაცია, რომელიც ეხება შესათავაზებელ ფასიან ქაღალდებს

6.1. შესათავაზებელი/სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდის სახეობა (ტიპი) და კლასი.

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „კომპანიის“ პირდაპირ, არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს (*pari passu*) და „კომპანიის“ ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ ვალდებულებას, გარდა იმგვარი მოთხოვნებისა, რომელთაც „კანონმდებლობის“ იმპერატიული ნორმების შესაბამისად გააჩნიათ უპირატესობა.

6.2. კანონმდებლობა, რომლის შესაბამისადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების გამოშვება.

„ობლიგაციების“ გამოშვება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ინფორმაცია დეპოზიტარის შესახებ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ (ს/ნ: 204935400); მისამართი: ოფისი №7, სართული 7, ბლოკი 10, №71 ვაჟა-ფშაველას გამზირი, თბილისი, 0179, საქართველო; ტელეფონი: (+995 32) 2 50 02 11.

6.4. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ვალუტაშია ნომინირებული გამოსაშვები ფასიანი ქაღალდი.

თითოეული ინდივიდუალური ემისიისათვის (რომელთაგან უკანასკნელი ემისია განხორციელდება არაუგვიანეს წინასწარი ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში) „ობლიგაციები“ გამოშვებული იქნება დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე ჩანაწერის სახით, და თითოეული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება იქნება 1,000 (ათასი) დოლარი ან 1,000 (ათასი) ევრო. შესაბამისი ემისიის ფარგლებში „ობლიგაციების“ დენომინაცია დაზუსტდება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

6.5. გადახდისუუნარობის შემთხვევაში, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდის რიგითობა „ემიტენტის“ კაპიტალის სტრუქტურაში.

„ემიტენტის“ გადახდისუუნარობის შემთხვევაში, „ობლიგაციების“ მფლობელები წარმოადგენენ „კომპანიის“ არაუზრუნველყოფილ და არასუბორდინირებულ კრედიტორებს და ითვლებიან ქვემოთ მოცემული მოთხოვნების (კ) ქვეპუნქტის („ემიტენტის“ მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები) შესაბამისი რიგითობის კრედიტორებად.

„ემიტენტზე“ მოქმედებს საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც, კომერციული ბანკის არსებული ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს, ხოლო კომერციული ბანკისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში ხდება მისი ლიკვიდაცია. „კომერციული ბანკის ლიკვიდაციისა და გადახდისუუნაროდ ან/და გაკოტრებულად გამოცხადების წესის დამტკიცების შესახებ“ „სებ“-ის პრეზიდენტის 2024 წლის 14 თებერვლის №35/04 ბრძანება ითვალისწინებს კრედიტორთა დაკმაყოფილების თანამიმდევრობას, კერძოდ:

1) კომერციული ბანკის ლიკვიდაციისას ფინანსური გირავნობის მოგირავნეს აქვს ფინანსური გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის უპირატესი დაკმაყოფილების უფლება (ფინანსური გირავნობის ღირებულების ფარგლებში), აგრეთვე „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროგრამის კრედიტორებს აქვთ უზრუნველყოფის აქტივებიდან იმავე კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების უპირატესი დაკმაყოფილების უფლება;

2) „ემიტენტის“ უზრუნველყოფილი კრედიტორის (მათ შორის, საგადასახადო ორგანოს), გარდა ზემოთ, 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირისა, უზრუნველყოფილი მოთხოვნა დაკმაყოფილდება უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციით, უზრუნველყოფის ღონისძიების (მათ შორის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უზრუნველყოფის ღონისძიების) რეგისტრაციის რიგითობის შესაბამისად. „ემიტენტის“ იმ უზრუნველყოფილი კრედიტორის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მოთხოვნაც უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო ვერ დაკმაყოფილდა, მოთხოვნის დაუკმაყოფილებელი ნაწილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 276-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 301-ე მუხლის 11 ნაწილის შესაბამისად აისახება ქვემოთ, მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების რიგში;

3) „ემიტენტის“ ლიკვიდაციისას სხვა მოთხოვნები შემდეგი თანამიმდევრობით უნდა დაკმაყოფილდეს:

ა) „ემიტენტის“ ლიკვიდაციის პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებული ხარჯები;

ბ) „ემიტენტის“ კრედიტორი (მათ შორის, „სებ“), რომლის მიმართ სასესხო ვალდებულება „ემიტენტს“ მისთვის საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოეშვა. ამასთანავე, საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც „ემიტენტისთვის“ საბანკო საქმიანობის ლიცენზიის გაუქმების შემდეგ წარმოიშვა, დაკმაყოფილდება ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

გ) სარეზოლუციო ფონდი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გარდა ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა, „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა დაფინანსების ფარგლებში (გარდა სარეზოლუციო ფონდის საშუალებით განხორციელებული დროებითი სახელმწიფო დაფინანსებისა);

დ) დაზღვეული დეპოზიტები „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაწესებული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებში ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მოთხოვნები, მათ შორის, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა;

ე) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნის ანგარიშზე არსებული თანხა, რომელიც აღემატება „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ანაზღაურებადი ოდენობის ზღვრის ფარგლებს, მაგრამ არაუმეტეს 100 000 (ასი ათასი) ლარისა ან უცხოური ვალუტით მისი ეკვივალენტისა;

ვ) მოთხოვნები „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დაგროვებითი საპენსიო სქემის სასარგებლოდ;

ზ) ფიზიკური პირის, იურიდიული პირის, იურიდიული პირის სტატუსის არმქონე ორგანიზაციული წარმონაქმნის ანგარიშზე არსებული თანხა, რომელიც გადახდილი არ არის ამ პუნქტის „დ“–„ვ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, გარდა ამ პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

თ) „ემიტენტის“ ადმინისტრატორების სახელზე არსებული დეპოზიტები, „ემიტენტის“ კაპიტალის 5 პროცენტის ან 5 პროცენტზე მეტის მფლობელი აქციონერების დეპოზიტები, ამ პირების „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ოჯახის წევრების ან მათი სახელით მოქმედ მესამე პირთა დეპოზიტები, აგრეთვე ფინანსური ინსტიტუტის დეპოზიტები;

ი) საბიუჯეტო ვალდებულებები და დავალიანებები;

კ) „ემიტენტის“ მიმართ დარჩენილი სხვა მოთხოვნები (მათ შორის, „იპოთეკით დაცული ობლიგაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამის კრედიტორების არაუზრუნველყოფილი მოთხოვნები, გარდა ამ პუნქტის „ლ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

ლ) „ემიტენტის“ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ „ემიტენტის“ სასესხო ვალდებულება, გარდა ამ პუნქტის „მ“–„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

მ) „ემიტენტის“ სუბორდინირებული ვალი, რომელიც საზედამხედველო კაპიტალის ინსტრუმენტი არ არის;

ნ) „ემიტენტის“ ვალდებულებები, რომელთა ჩამოწერა ან საზედამხედველო კაპიტალში კონვერტაცია განსაზღვრულია ხელშეკრულებით, გარდა ამ პუნქტის „ო“–„ჟ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა;

ო) „ემიტენტის“ მეორადი კაპიტალის ინსტრუმენტები;

პ) „ემიტენტის“ დამატებითი პირველადი კაპიტალის ინსტრუმენტები;

ჟ) „ემიტენტის“ პირდაპირი და არაპირდაპირი მფლობელების მიმართ „ემიტენტის“ სხვა ვალდებულებები.

თუ არსებული თანხა ზემოთ მოცემული მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად დასაფარავად არ არის საკმარისი, ყველა სათანადო მოთხოვნა უნდა დაიფაროს შესაბამისი რიგის თითოეული კრედიტორის მოთხოვნის მოცულობის პროპორციულად.

კრედიტორთა ყოველი მომდევნო რიგის მოთხოვნა დაკმაყოფილდება კრედიტორთა წინა რიგის მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ.

6.6. იმ უფლებების და შეზღუდვების აღწერა, რომლებიც თან ერთვის ფასიან ქაღალდებს და აღნიშნული უფლებების განხორციელების პროცედურა.

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება მოცემული „პროსპექტით“, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“.

6.7. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გზით გახდება ინვესტორისთვის ხელმისაწვდომი ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული დოკუმენტები

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული დოკუმენტები ხელმისაწვდომია პოტენციურ ინვესტორთათვის გასაცნობად ელექტრონულად, „პროსპექტში“ მითითებული „ემიტენტის“ ელექტრონული ფოსტებიდან გამოთხოვის შემთხვევაში/გზით ან ფიზიკურად, „ემიტენტის“ ოფისში: №29ა გაგარინის ქუჩა, საბურთალოს რაიონი, თბილისი, 0160, საქართველო.

6.8. ფასიანი ქაღალდების თავისუფალი მიმოქცევის შეზღუდვა.

ამ „პროსპექტით“ წარმოდგენილი/შესათავაზებელი „ობლიგაციების“ თავისუფალი მიმოქცევა არ არის შეზღუდული, გარდა ემისიის „პროსპექტის“ „შესავლის“ თავის გაფრთხილების ნაწილში მოცემული შეზღუდვებისა.

6.9. ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავლების დაბეგვრის შესახებ.

ქვემოთ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი საგადასახადო საკითხების ზოგად აღწერას. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული საგადასახადო საკითხების ამომწურავ შეფასებას.

„ობლიგაციების“ პოტენციურმა შემძენებმა კონსულტაციები უნდა გაიარონ საკუთარ საგადასახადო მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შეძენასთან, ფლობასთან და გასხვისებასთან დაკავშირებით, ასევე „ობლიგაციებიდან“ პროცენტის, ძირითადი თანხის ან/და სხვა შემოსავლების მიღების შესახებ და ამგვარი ქმედებების საგადასახადო შედეგების თაობაზე. მიმოხილვა ეფუძნება წინამდებარე „პროსპექტის“ შედგენის თარიღისთვის მოქმედ „კანონმდებლობას“, რომელიც შეიძლება შეიცვალოს აღნიშნული თარიღის შემდეგ. ამ თავში წარმოდგენილი ინფორმაცია და ანალიზი შეეხება მხოლოდ საგადასახადო საკითხებს და პოტენციურმა ინვესტორებმა არ უნდა გამოიყენონ ეს ინფორმაცია ან ანალიზი სხვა სფეროებში, მათ შორის „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ტრანზაქციების ნამდვილობასთან მიმართებით.

6.9.1. საპროცენტო სარგებლის დაბეგვრა

„კანონმდებლობის“ შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტის მიერ „ობლიგაციებზე“ რეზიდენტი ფიზიკური პირისთვის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირისთვის გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან არ იბეგრება. აღნიშნული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება, თუ ამ პროცენტების მიმღები არ არის ასევე რეზიდენტი ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი. ამასთანავე, მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია რეზიდენტი იურიდიული პირის (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციის) მიერ „კანონმდებლობის“ შესაბამისად ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტისგან მიღებული პროცენტებიდან მიღებული მოგების განაწილება.

საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ მიღებული პროცენტი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

2024 წლის 1-ლი იანვრიდან სადაზღვევო ორგანიზაციები იბეგრებიან ესტონური მოდელით, რაც გულისხმობს განაწილებული მოგების დაბეგვრას.

6.9.2. „ობლიგაციების“ რეალიზაციის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ მიწოდებით მიღებული რეზიდენტი ფიზიკურის პირის, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის შემოსავალი (ზოგადად სარეალიზაციო და შეძენის ფასებს შორის დადებითი სხვაობა ამ ფასიან ქაღალდზე მიწოდების მომენტამდე დარიცხული და აუნაზღაურებელი პროცენტის გაუთვალისწინებლად საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) განთავისუფლებულია საშემოსავლო და მოგების გადასახადისაგან (თუ ეს შემოსავალი არ მიეკუთვნება საქართველოში ამ არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას), იმის გათვალისწინებით, რომ „ობლიგაციები“ არის საქართველოში რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და „სებ“-ის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე

(იგულისხმება საქართველოს საფონდო ბირჟაზე ან/და თბილისის საფონდო ბირჟაზე) სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი.

თუ ზემოხსენებული საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება, „ობლიგაციის“ გასხვისებისას შესაძლოა წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულები:

6.9.2.1. <u>„ობლიგაციის“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა:</u>

არარეზიდენტი იურიდიული პირების მოგება (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) 15 პროცენტიანი გადასახადის განაკვეთით იბეგრება (თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი იურიდიული პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი).

6.9.2.2. <u>„ობლიგაციის“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა</u>

არარეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტიანი განაკვეთით თუ ამგვარი რეალიზაცია საგადასახადო ვალდებულებას წარმოშობს, გამყიდველი არარეზიდენტი ფიზიკური პირი ვალდებული იქნება სწორად მოახდინოს გადასახადის ანგარიშგება და გადახდა საგადასახადო ორგანოში ან, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ეს კომპანია იქნება პასუხისმგებელი ამ გადასახადის წყაროსთან დაკავებაზე. საქართველოში მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებამ, რომელიც საქართველოს აქვს გაფორმებული ქვეყანასთან, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ „ობლიგაციონერებზე“, თუ ისინი ობლიგაციებს ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

6.9.2.3. <u>„ობლიგაციის“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა</u>

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ ობლიგაციების გასხვისებისას მიღებული ნამეტი შემოსავალი (საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მოგების განაწილებისას (15%-იანი განაკვეთით).

6.9.2.4. <u>„ობლიგაციის“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ ობლიგაციების რეალიზაციით მიღებული ნამეტი შემოსავლის დაბეგვრა</u>

რეზიდენტი ფიზიკური პირების შემოსავალი (დასაბეგრი ობიექტი - საწყის და სარეალიზაციო ფასებს შორის არსებული სხვაობა) იბეგრება 20 პროცენტიანი განაკვეთით, თუ რეალიზაცია ხორციელდება საქართველოში მოქმედი საბროკერო კომპანიის საშუალებით, ის იქნება პასუხისმგებელი წყაროსთან შესაბამისი გადასახადების დაკავებაზე.

გამონაკლისები შეიძლება გავრცელდეს ცალკეულ „ობლიგაციონრებზე“, თუ ისინი „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

საქართველოს რეზიდენტი იურიდიული პირი (გარდა საბანკო დაწესებულებისა, საკრედიტო კავშირისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისა, სესხის გამცემი სუბიექტისა და სადაზღვევო ორგანიზაციისა) ვალდებულია „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებულ მოგებაზე გადაიხადოს მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით მას შემდეგ, რაც გაანაწილებს მოგებას.

საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის მიერ „ობლიგაციების“ რეალიზაციით მიღებული შემოსავალი შეიტანება ამ საწარმოების ერთობლივ შემოსავალში და გამოქვითვების შემდეგ დაიბეგრება მოგების გადასახადის 20%-იანი განაკვეთით.

6.9.3. ძირითადი თანხის გადახდის დაბეგვრა

„ობლიგაციების“ გამოსყიდვისას „ობლიგაციონერების“ მიერ მიღებული ძირითადი თანხა არ ჩაითვლება დასაბეგრ შემოსავლად და არ დაექვემდებარება საქართველოში დაბეგვრას იმ პირობით, თუ გამოსყიდვის ფასი ვადის დადგომისას არ აღემატება თავდაპირველი გამოშვების ფასს.

6.9.4. დამატებული ღირებულების გადასახადი

„ობლიგაციების“ რეალიზაცია (მიწოდება) თავისუფლდება დამატებული ღირებულების გადასახადისგან საქართველოში.

6.10. ინფორმაცია სავალო ფასიანი ქაღალდების საკრედიტო რეიტინგის შესახებ

გამოსაშვებ ფასიან ქაღალდებს („ობლიგაციებს“) არ აქვთ მოპოვებული საკრედიტო რეიტინგი.

7. ობლიგაციების გამოშვების პირობები

წინამდებარე „ობლიგაციების“ გამოშვების პირობები (შემდგომში - „პირობები“ ან „გამოშვების პირობები“) წარმოადგენს „ემიტენტის“ მიერ „პროსპექტის“ ფარგლებში და მის საფუძველზე, ერთ ან ერთზე მეტ დამოუკიდებელ ემისიად გამოშვებული „ობლიგაციების“ მიმართ მოქმედ პირობების ტექსტს, რომელსაც თითოეული ემისიის შემთხვევაში თან დაერთვება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ და იმოქმედებს მათთან ერთად. წინამდებარე „პირობებში“ მითითებები „ობლიგაციებზე“, სადაც კონტექსტი ამას მოითხოვს, გულისხმობს „ობლიგაციებს“, რომელთა გამოშვებაც მოხდება ამ „პროსპექტის“ საფუძველზე ერთ ან ერთზე მეტ დამოუკიდებელ ემისიად.

„ობლიგაციები“ არის არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული და მათი საერთო ძირი თანხა შეადგენს *100,000,000 (ასი მილიონი)* აშშ დოლარამდე ან ევროში მისი ექვივალენტის ნომინალური ღირებულებამდე მოცულობას (თუ „პროსპექტის“ ფარგლებში „ობლიგაციები“ სხვადასხვა ვალუტაშია გამოშვებული, ყოველი ინდივიდუალური ემისიისთვის ემისიის ფარგლებში ჯამური ძირი თანხის დაანგარიშების მიზნებისთვის გამოყენებული იქნება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „სებ“-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი. იმ შემთხვევაში თუ „სებ“-ის მიერ არ იქნება დადგენილი გაცვლითი კურსი კონკრეტულ ვალუტებს შორის (მაგალითად, აშშ დოლარისა და ევროს გაცვლითი კურსი), ძირის დაანგარიშების მიზნებისთვის გამოყენებული იქნება შესაბამის ვალუტასთან დადგენილი ლარის გაცვლითი კურსი, ხოლო „ობლიგაციები“ აღნიშნული ლიმიტის ფარგლებში გამოშვებული იქნება ერთ ან ერთზე მეტ დამოუკიდებელ ემისიად, სხვადასხვა ან ერთი და იმავე ოდენობებით აშშ დოლარის ან/და ევროს ვალუტაში, „პროსპექტისა“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად).

„ობლიგაციების“ პირობები და „ობლიგაციონერთა“ უფლებები განისაზღვრება: წინამდებარე „პროსპექტით“, რომელიც დამტკიცებულია „სებ“-ის მიერ, მათ შორის, წინამდებარე „ობლიგაციების გამოშვების პირობებით“.

წინამდებარე „პროსპექტის“ ფარგლებში განსახორციელებელი თითოეული ემისიის ფარგლებში, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ წარმოდგენილი მონაცემები, რომლებსაც წინ არ უწერიათ სიტყვა საორიენტაციო, იდენტური იქნება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ წარმოდგენილი მონაცემებისა.

თუ არ იქნა ვადამდე გამოსყიდული/გაუქმებული/დაფარული წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ დაერიცხება საპროცენტო სარგებელი ერთ-ერთი ჩამოთვლილი სიხშირით - ა) ყოველთვიური, ან ბ) ყოველკვარტალური, გ) ნახევარწლიური ან დ) წლიური. თითოეული „ობლიგაციის“ ვადიანობა განისაზღვრება, როგორც: 1) 1 წლიანი; 2) 2 წლიანი; 3) 3 წლიანი; 4) 4 წლიანი; ან 5) 5 წლიანი. „ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი „საპროცენტო სარგებლის“ („კუპონის“) საბოლოო განაკვეთი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის შედეგად, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად). „საპროცენტო სარგებლის“ („კუპონის“) საბოლოო განაკვეთი უნდა იყოს შესაბამის „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ (რომელიც მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს შეთავაზების პროცესში) მითითებული დიაპაზონის ფარგლებში.

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და „კუპონის“ გადახდა განხორციელდება „კომპანიასა“ და სს „გალტ ენდ თაგარტს“, როგორც „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“, შორის გაფორმებული კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება“) პირობების შესაბამისად. თითოეული „ობლიგაციონერი“ უფლებამოსილია გაეცნოს/შეისწავლოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების“ ასლს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ ან/და „ემიტენტის“ „პროსპექტში“ მითითებულ მისამართზე. შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების“ პირობები გავრცელდება ნებისმიერ და ყველა „ობლიგაციონერზე“ და ექნება სავალდებულო ძალა მათთვის.

მნიშვნელოვანი ინფორმაცია: ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული შეთავაზების პირობები დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად მიემართება თითოეული კონკრეტული ემისიის ფარგლებში გამოშვებულ „ობლიგაციებსა“ და მათ მესაკუთრეებს.

თითოეული „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ფარგლებში გამოშვებული „ობლიგაციები“ წარმოადგენს დამოუკიდებელ და ინდივიდუალურ ემისიას და განიხილება

„პროსპექტის“ საფუძველზე ემიტირებული სხვა „ობლიგაციებისგან“ (ემისიებისგან) დამოუკიდებლად. ამასთან, „დეფოლტის შემთხვევა“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) უნდა შეფასდეს და დადგეს თითოეული „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ფარგლებში გამოშვებული „ობლიგაციებისთვის“ (ემისიისთვის) ინდივიდუალურად და აღსრულების პროცესიც თითოეული ასეთი „ობლიგაციისთვის“ (ემისიისთვის) წარიმართება დამოუკიდებლად, ინდივიდუალურად და ცალ-ცალკე. ამასთან, თითოეული „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ფარგლებში გამოშვებული/განთავსებული „ობლიგაციონერების“ მიერ ნებისმიერ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებისას/კრების მოწვევისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ იმ „ობლიგაციონერების“ ხმები, რომლებიც ფლობენ ასეთი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ფარგლებში გამოშვებულ „ობლიგაციებს“.

7.1. ფორმა, ნომინალური ღირებულება და საკუთრების უფლება

(ა) ფორმა და ნომინალური ღირებულება: „ობლიგაციები“ გამოშვებული იქნება დემატერიალიზებული ფორმით და იარსებებს მხოლოდ ელექტრონული ჩანაწერის სახით. ერთი „ობლიგაციის“ ნომინალური ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“, ხოლო ფასი შეადგენს ნომინალური ღირებულების 100%-ს.

(ბ) საკუთრების უფლება: „ობლიგაციონერებისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) არსებულ შესაბამის ინდივიდუალურ სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებულ დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე „ობლიგაციონერის“ საკუთრების უფლებას. დემატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე არსებული საკრედიტო ნაშთით, რომლის დადასტურება ხდება შესაბამისი „ანგარიშის მწარმოებლის“ მიერ გაცემული ანგარიშის ამონაწერით.

„ობლიგაციონერებისათვის“ / „ინვესტორისთვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაკრედიტება წარმოშობს „ობლიგაციონერების“ / „ინვესტორის“ წილობრივი თანასაკუთრების უფლებას ამ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე დაკრედიტებული ობლიგაციების რაოდენობის პროპორციულად, „დეპოზიტარში“ ან „ანგარიშის მწარმოებელთან“ არსებულ იმ ომნიბუს სეგრეგირებულ ანგარიშზე დაკრედიტებული იდენტური ობლიგაციების ერთობლიობაზე, რომელზედაც დაკრედიტებულია შესაბამისი „ობლიგაციონერების“ / „ინვესტორების“ „ობლიგაციები“.

7.2. ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა

„ობლიგაციების“ შეთავაზებას „ ემიტენტის“ სახელით და მასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებს „განთავსების აგენტი“. „ობლიგაციებით“ დაინტერესების მიზნით, „განთავსების აგენტს“ ან/და მის უფლებამოსილ შუამავალს/შუამავლებს უფლება აქვთ, დააგზავნონ „დამტკიცებული პროსპექტი“ ან/და „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ ან/და სხვა მასალები პოტენციურ ინვესტორებთან, „კანონმდებლობით“ დაშვებულ შემთხვევებში და შესაბამის მოთხოვნათა დაცვით.

„სებ“-ის მიერ „დამტკიცებული პროსპექტის“ დამტკიცების შემდეგ, რომელსაც ასევე თან ერთვის „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“, „ემიტენტი“ მოახდენს „ობლიგაციების“ საჯარო შეთავაზებას „კანონმდებლობის“ შესაბამისად. პოტენციური ინვესტორების კატეგორიები, რომელთათვისაც ხდება „ობლიგაციების“ შეთავაზება, შეზღუდული არ არის. „ემიტენტი“, „განთავსების აგენტი“, ან/და განთავსების პროცესში ჩართული სხვა ფინანსური შუამავალი პოტენციურ ინვესტორებს, მათი სურვილის შესაბამისად, მიაწვდიან „დამტკიცებული პროსპექტის“ და „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ელექტრონულ ბმულს, ან ამ დოკუმენტების დასკანერებულ ვერსიას, ან „დამტკიცებული პროსპექტის“ და „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დაბეჭდილ ასლს. „დამტკიცებული პროსპექტი“ და „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ მიეწოდება პოტენციურ ინვესტორებს ე.წ. book-building-ის პროცესის დაწყებისთანავე ან/და პროცესში. თავის მხრივ, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში იქნება ასახული შეთავაზების (Book-building-ის) შედეგად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი. „საბოლოო პროსპექტი“ და

„საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ პოტენციური ინვესტორებისთვის ხელმისაწვდომი გახდება დოკუმენტების „სებ“-ის ან/და „ემიტენტის“ ვებგვერდზე გასაჯაროვების გზით.

პოტენციურ ინვესტორებს შეუძლიათ „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების მიწოდებით. „ობლიგაციების“ ყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების ბოლო ვადას ერთპიროვნულად განსაზღვრავს „განთავსების აგენტი“. თუ განაცხადების მიღების საბოლოო თარიღს დაემთხვა დღე, რომელიც არ არის „სამუშაო დღე“, მაშინ ასეთი თარიღის წინა „სამუშაო დღე“ ჩაითვლება „ობლიგაციების“ შესყიდვის შესახებ განაცხადის მიღების საბოლოო თარიღად.

„ობლიგაციის“ შეთავაზება განხორციელდება აშშ დოლარში ან ევროში (როგორც ამას გადაწყვეტს „ემიტენტი“ თითოეული ემისიის ფარგლებში და განისაზღვრება შესაბამისი „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტებით“) დენომინირებული სასესხო ფასიან ქაღალდებში ინვესტირებით დაინტერესებულ ინვესტორთა ფართო წრისთვის.

„ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დასარიცხი „საპროცენტო სარგებლის“ („კუპონის“) საბოლოო განაკვეთი დადგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესში, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნების მოცულობიდან / პირობებიდან გამომდინარე (Book-building-ის შედეგად) და აისახება შესაბამის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“. ამასთან, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ მითითებულ ფარგლებში საბოლოო საპროცენტო განაკვეთის ფორმირება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას და საჭიროებს მხოლოდ და მხოლოდ „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ ასახვას.

თუ საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესში პოტენციური ინვესტორებისაგან „ობლიგაციების“ შესყიდვის თაობაზე განაცხადებით გამოხატულია ინტერესი იმაზე მეტი „ობლიგაციის“ შეძენაზე, ვიდრე „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ იქნება გათვალისწინებული, მაშინ განაცხადების დაკმაყოფილება მოხდება ნაწილობრივ, შემოსულ განაცხადებაში მითითებული ოდენობების პროპორციულად ან სხვაგვარად, „ემიტენტის“ გადაწყვეტილებისამებრ. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ინვესტორის განაცხადი დაკმაყოფილდა მხოლოდ ნაწილობრივ, პოტენციური ინვესტორი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ან გააგრძელოს „ობლიგაციების“ შესყიდვის პროცესში მონაწილეობა. ამგვარი გადაწყვეტილების თაობაზე „განთავსების აგენტს“ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ (არაუგვიანეს მომდევნო „სამუშაო დღის“ 12:00 საათამდე (თბილისის დროით)) მას შემდეგ, რაც ინვესტორს ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით ეცნობება მისი განაცხადის კორექტირების („ობლიგაციების“ ოდენობის თვალსაზრისით) შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, კვლავ განიხილოს ინვესტორის საწყისი განაცხადი (მოთხოვნილი ფასიანი ქაღალდების სრულ ოდენობაზე), ან უარი განაცხადოს მასზე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესის დასრულების შემდგომ „განთავსების აგენტი“ აცხადებს შეთავაზების დასრულების შესახებ და იმ ინვესტორებს, რომელთა განაცხადებებიც (მათ შორის, შეცვლილი რაოდენობით/ნაწილობრივ) დაკმაყოფილდა, ელექტრონული ფოსტის გამოყენებით აწვდის შესაბამის შეტყობინებას (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად). შეტყობინებაში მითითებული უნდა იქნას „ობლიგაციებზე“ დასარიცხი საპროცენტო სარგებლის საბოლოო მაჩვენებელი და „ობლიგაციების“ ის რაოდენობა/მოცულობა, რომლის ფარგლებშიც დაკმაყოფილდა შესაბამისი ინვესტორის განაცხადი. შეთავაზების დასრულების შესახებ გამოცხადების მომენტიდან, ყოველი პოტენციური ინვესტორის (შემდგომში - „ხელმომწერი ინვესტორი“) განაცხადს, რომელიც დაკმაყოფილდა სრულად ან ნაწილობრივ, აქვს გამოუთხოვადი და მავალდებულებელი ძალა შესაბამისი „ხელმომწერი ინვესტორისათვის“. „ემიტენტი“ და/ან „განთავსების აგენტი“ უფლებამოსილია მოახდინონ „ობლიგაციების“ განთავსება „გადავადებული განთავსების ფასით“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) გამოშვების თარიღიდან შეთავაზების დასრულების თარიღის ჩათვლით. „ობლიგაციების“ გადავადებული განთავსება მოხდება „გადავადებული განთავსების ფასით“. ინვესტორებს შეუძლიათ გადავადებით განსათავსებელი „ობლიგაციების“ შესყიდვაზე ინტერესი გამოხატონ „განთავსების აგენტისათვის“ შესყიდვის შესახებ განაცხადის / შეტყობინების ელექტრონული ფოსტის ან „განთავსების აგენტსა“ და ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომუნიკაციის სხვა ფორმით

მიწოდებით. „ობლიგაციების“ შესყიდვის სურვილის შეტყობინება დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის ან/და „განთავსების აგენტის“ მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა საშუალებებით.

„ხელმომწერი ინვესტორები“ ვალდებულნი არიან, შესაბამისი ოდენობის „ობლიგაციების“ შესასყიდი თანხები სრულად განათავსონ „განთავსების აგენტთან“ (როგორც „ანგარიშის მწარმოებელთან“) გახსნილ საბროკერო ანგარიშზე, „გამოშვების თარიღამდე“ არანაკლებ 2 (ორი) „სამუშაო დღით“ ადრე. „ხელმომწერი ინვესტორის“ მიერ აღნიშნული საბროკერო ანგარიში გახსნილი უნდა იქნას „განთავსების აგენტთან“, როგორც „ანგარიშის მწარმოებელთან“. „ობლიგაციების“ მიწოდება „ხელმომწერი ინვესტორისათვის“ ხდება „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ არსებულ „ხელმომწერი ინვესტორის“ ანგარიშზე. ობლიგაციების განთავსების შემდეგ „ობლიგაციონერებს“ შეუძლიათ ფლობდნენ ობლიგაციებს „ანგარიშის მწარმოებელთან“ ან „დეპოზიტართან“ გახსნილ ანგარიშ(ებ)ზე ჩანაწერის სახით.

თუ შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ გათვალისწინებული „ობლიგაციების“ სრული რაოდენობა არ იქნება განთავსებული შეთავაზების დასრულების თარიღისთვის, „ემიტენტი“ საკუთარი შეხედულებისამებრ და მისი დისკრეციის ფარგლებში:
(ა) გამოაცხადებს/ჩათვლის განუთავსებელ „ობლიგაციებს“ გაუქმებულად (შესაბამისი რაოდენობის „ობლიგაციები“ გაუქმდება) და „ემიტენტი“ „ობლიგაციების“ განთავსებული/გაუქმებული რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის „სებ“-ს, შესაბამის საფონდო ბირჟას – თუ ფასიანი ქაღალდი დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, და, აგრეთვე, განახორციელებს შესაბამის შეტყობინებას აღნიშნულის შესახებ, „კანონმდებლობით“ დადგენილი წესის შესაბამისად; ან
(ბ) განახორციელებს თავდაპირველად განუთავსებელი „ობლიგაციების“ გადავადებულ განთავსებას „გადავადებული განთავსების ფასით“, წინამდებარე პროსპექტის პირობებისა და „კანონმდებლობის“ შესაბამისად/გათვალისწინებით.

„ემიტენტისთვის“ არ არის ცნობილი, მიიღებს თუ არა შეთავაზებებში მონაწილეობას „ემიტენტის“ მენეჯმენტი, დირექტორთა ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან/და მნიშვნელოვანი წილის მქონე აქციონერები (პარტნიორები). ასევე, „ემიტენტს“ არ აქვს ინფორმაცია პირის შესახებ, რომელსაც სურს შეიძინოს შეთავაზებების 5%-ზე (ხუთი პროცენტი) მეტი; ამავდროულად, „კანონმდებლობის“ შესაბამისად, „ემიტენტის“ მმართველობითი ფუნქციის მქონე პირებმა და მათთან დაკავშირებულმა პირებმა, თავის ან სხვა პირის სასარგებლოდ არ უნდა განახორციელონ გარიგებები ამ „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებზე ან/და „ემიტენტის“ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებზე აღნიშნული „ემიტენტის“ მიერ „კანონმდებლობით“ გათვალისწინებული ნახევარი წლის ან წლიური ანგარიშგების გამოქვეყნებამდე სულ მცირე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

საპროცენტო სარგებლის საბოლოო განაკვეთის ფორმირების (Book-building-ის) პროცესის შედეგად დადგენილი შეთავაზების საბოლოო პირობები გასაჯაროვდება „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ სახით, რომელიც დამტკიცდება „სებ“-ის მიერ და წარმოადგენს „პროსპექტის“ განუყოფელ ნაწილს.

„ობლიგაციების“ შეთავაზება შესაძლებელია გაუქმდეს ან შეჩერდეს „კანონმდებლობის“ შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ დამტკიცებამდე და „ობლიგაციების“ გამოშვებამდე/განთავსებამდე, „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს აქვს უფლება, უარი განაცხადოს „ობლიგაციების“ გამოშვებაზე/განთავსებაზე და გააუქმოს შეთავაზება საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, რის შესახებაც გონივრულ ვადაში მოხდება ინვესტორების ინფორმირება, შესაბამისი „განთავსების აგენტის“ მეშვეობით, ამ უკანასკნელის მიერ დადგენილი პროცედურის/პროცესის შესაბამისად.

7.3. საჯარო შეთავაზების პერიოდში ცვლილების შეტანის პროცედურა

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო შეთავაზების პერიოდში „ემიტენტი“ გადაწყვეტს, შეცვალოს „ობლიგაციების“ შესახებ / „პროსპექტში“ წარმოდგენილი ინფორმაცია, მან უნდა მიიღოს „კანონმდებლობით“ დადგენილი აუცილებელი ზომები.

7.4. სტატუსი

„ობლიგაციები“ წარმოადგენს „ემიტენტის“ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას. წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე, თითოეული ემისიის ფარგლებში გამოშვებულ „ობლიგაციებს“ ექნებათ იდენტური სამართლებრივი სტატუსი, ერთმანეთთან რაიმე უპირატესობის გარეშე (*pari passu*). „ემიტენტისადმი“ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული მოთხოვნები ყოველთვის იქნება „ემიტენტის“ სხვა დანარჩენი არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნების თანაბარი გადახდევინების ნაწილში, გარდა იმგვარი მოთხოვნებისა, რომელთაც „კანონმდებლობის“ იმპერატიული ნორმების შესაბამისად გააჩნიათ უპირატესობა.

7.5. ობლიგაციების გასხვისება

„ობლიგაციების“ გასხვისება ხდება „კანონმდებლობით“ (მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით და „დემატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ“ საქართველოს კანონით) დადგენილი წესით საქართველოს იურისდიქციის ფარგლებში. „ობლიგაციების“ გასხვისება და საკუთრების უფლების გადაცემა მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, თუ ამგვარი გასხვისების შედეგად ხდება „ობლიგაცი(ებ)ის“ დაკრედიტება „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე. „ობლიგაციების“ რომელიმე საფონდო ბირჟზე დალისტვის/სავაჭროდ დაშვების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდება „ობლიგაციებით“ გარიგებების დადება შესაბამის საფონდო ბირჟაზე, ამ საფონდო ბირჟის წესებისა და ბირჟაზე დაშვებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე „კანონმდებლობის“ მოთხოვნების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, „ობლიგაციების“ სავაჭრო სისტემაში და საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების თაობაზე გადაწყვეტილება არ საჭიროებს „ობლიგაციონერების“ წინასწარ თანხმობას ან დამტკიცებას.

ცალკეული „ობლიგაციონერების“ მფლობელობაში არსებული „ობლიგაციების“ სრული ან ნაწილობრივი გასხვისება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გასხვისების შედეგად „ობლიგაციები“ დაკრედიტდება იმ ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე, რომელიც გახსნილია შესაბამისი „ობლიგაციონერისთვის“. ობლიგაციების სრულად ან ნაწილობრივ გასხვისების შემთხვევაში, „ობლიგაციების“ გამსხვისებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ „ობლიგაციების“ შემძენს ჰქონდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ „პროსპექტი“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება“ „ობლიგაციების“ განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება „ობლიგაციების“ გამსხვისებელს, „ემიტენტზე“ ან „ობლიგაციონერისათვის“ გახსნილ ფასიანი ქაღალდების „ანგარიშის მწარმოებლის“ ნებისმიერი პასუხისმგებლობის გარეშე.

7.6. ფასის დადგენა

შესაბამისი ემისიის ფარგლებში გამოსაშვები და განსათავსებელი „ობლიგაციების“ რაოდენობა, მთლიანი ემისიის მოცულობა და ფასი დგინდება პოტენციური ინვესტორებისათვის „ობლიგაციების“ შეთავაზების პროცესის შედეგად, „ობლიგაციების“ შესყიდვაზე გამოვლენილი მოთხოვნის გათვალისწინებით (Book-building-ის პროცესის შედეგად). პოტენციურ ინვესტორებზე „ობლიგაციების“ საბოლოო განაწილების საკითხი გადაწყდება „ობლიგაციების“ შესყიდვის მიმართ გამოვლენილი ინტერესის/მოთხოვნის საფუძველზე (Book-building-ის პროცესის შედეგად) „პირობების“ 7.2 პუნქტით (*„ობლიგაციების შეთავაზების პროცედურა“*) განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.

7.7. დათქმები

„ემიტენტი“ იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

- **ლიცენზიის შენარჩუნება:** „ემიტენტი“ მიიღებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა უზრუნველყოფილი იქნას, რომ შენარჩუნებული იქნება მისი საბანკო საქმიანობის განხორციელების ლიცენზია.
- **საქმიანობის ცვლილება**: „ემიტენტი“ უზრუნველყოფს, რომ ის მნიშვნელოვნად არ შეცვლის მისი ზოგადი საქმიანობის სფეროს.
- **კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტთან შესაბამისობა:** „ემიტენტი“ დაიცავს „სებ“-ის პრეზიდენტის 2013 წლის 28 ოქტომბრის №100/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით“ (ან მისი ნებისმიერი სამართალმონაცვლე აქტით) დადგენილი კაპიტალის

ადეკვატურობის კოეფიციენტებს. აღნიშნული ვალდებულების დარღვევად არ ჩაითვლება ისეთი დარღვევა, რომელზეც „სებ“-ი წინასწარ ან დარღვევის შემდგომ გასცემს თანხმობას/ნებართვას.

7.8. სანქციებთან დაკავშირებული პირობები

იმ შემთხვევაში, თუ: (i) „ინვესტორზე“ ვრცელდება ან/და გავრცელდება „სანქციების ორგანოს“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქცია ან/და ნებისმიერი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვა, მოთხოვნა ან/და აკრძალვა, ან/და (ii) „ინვესტორი“ ან/და „ინვესტორის მაკონტროლებელი პირი“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ), ან/და ქვეყანა/ტერიტორია, რომლის რეზიდენტიც არის „ინვესტორი“ ან რომელშიც დაფუძნებულია/რეგისტრირებულია ან მდებარეობს ან ოპერირებს „ინვესტორი“, არის ან/და მოხვდება ნებისმიერი სანქცირებული ქვეყნების/ტერიტორიების ან/და სანქცირებული პირების სიაში (მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით), რომელიც გამოცემულია/წარმოებულია „სანქციების ორგანოს“ მიერ, „ემიტენტისთვის“ „პროსპექტით“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ ან/და „კანონმდებლობით“ მინიჭებული სხვა უფლებების შეუზღუდავად, „ემიტენტი“ უფლებამოსილია იმოქმედოს „სანქციების ორგანოს“ მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს „სანქციების ორგანოს“ მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება (მათ შორის, შეუზღუდავად, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს, შეაჩეროს ან/და უარი თქვას „ინვესტორისთვის“ ნებისმიერი და ყველა გადასახადის (მათ შორის, „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის ან/და „ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დარიცხული „საპროცენტო სარგებლის“ („კუპონის“) გადახდაზე).

მიუხედავად ნებისმიერი სხვა ჩანაწერისა/დებულებისა, „ემიტენტი“ უფლებამოსილია ნებისმიერ შემთხვევაში იმოქმედოს „სანქციების ორგანოს“ მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით და განახორციელოს „სანქციების ორგანოს“ მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება.

ამასთან, ნებისმიერ შემთხვევაში, „ემიტენტის“ მიერ „სანქციების ორგანოს“ მიერ დაწესებული შესაბამისი სანქციის მიხედვით ან/და „სანქციების ორგანოს“ მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი ქმედების განხორციელება (მათ შორის, შეუზღუდავად, „ინვესტორისთვის“ ნებისმიერი და ყველა გადასახადის (მათ შორის, „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის ან/და „ობლიგაციების“ ნომინალურ ღირებულებაზე დარიცხული „საპროცენტო სარგებლის“ („კუპონის“)) გადაუხდელობა) არ ჩაითვლება „ემიტენტის“ მიერ „ინვესტორის“ წინაშე არსებული/ნაკისრი რაიმე ვალდებულების რაიმე ფორმით დარღვევად ან/და „დეფოლტის შემთხვევად“ და ამასთან დაკავშირებით „ემიტენტს“ არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა.

წინამდებარე პუნქტსა და „პროსპექტის“ სხვა პუნქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება წინამდებარე პუნქტის დებულებებს.

7.9. საპროცენტო სარგებელი

თუ „ობლიგაციები“ არ იქნა ვადამდე გამოსყიდული / გაუქმებული / დაფარული წინამდებარე „პროსპექტით“ განსაზღვრული პირობების შესაბამისად, თითოეულ „ობლიგაციას“ გადახდის პირობის მიხედვით დაერიცხება „პროცენტი“. „ობლიგაციებზე“ დარიცხული „კუპონის“ გადახდა შესაძლოა განხორციელდეს ერთ-ერთი შემდეგი ჩამოთვლილი სიხშირით: ა) ყოველთვიური, ან ბ) ყოველკვარტალური, ან გ) ნახევარწლიური, ან დ) ყოველწლიური. „კუპონის“ ტიპი შესაძლოა დამატებით განისაზღვროს, როგორც ა) ფიქსირებული, ან ბ) ცვლადი. თითოეული ემისიისთვის კონკრეტული პროცენტის გადახდის სიხშირე, ვადიანობა და წლიური განაკვეთი განისაზღვრება წინამდებარე „პროსპექტით“, შესაბამისი „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტითა“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“, რომელიც გადახდილი უნდა იქნეს „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად განსაზღვრულ კონკრეტულ თარიღებში.

„ობლიგაციებზე“ „კუპონის“ დარიცხვა მოხდება მათი დაფარვის / გამოსყიდვის თარიღამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც „ობლიგაციონერს“ ამ მომენტისათვის არ დაუბრუნდა ძირითადი თანხა ნებისმიერი ისეთი გარემოებიდან გამომდინარე, რომელიც არ არის „ემიტენტის“ კონტროლს მიღმა. ასეთ შემთხვევაში „კუპონის“ დარიცხვა გაგრძელდება არსებული განაკვეთით მანამ, სანამ ამგვარ „ობლიგაციაზე“ გადასახდელი

თანხა სრულად იქნება გადახდილი შესაბამისი „ობლიგაციონერის“ ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის.

თუ „პროცენტის“ დათვლა ხდება „საპროცენტო პერიოდზე“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) ნაკლები პერიოდისათვის, შესაბამისი დარიცხული (დასარიცხი) „კუპონის“ დაანგარიშება მოხდება წელიწადში 365 კალენდარული დღის საფუძველზე.

7.10. ობლიგაციების განაღდება და გამოსყიდვა

(ა) **გამოსყიდვა:** „ემიტენტს“ უფლება აქვს „დაფარვის თარიღამდე“ შესთავაზოს „ობლიგაციონერ(ებ)ს“ გადაუხდელი ძირითადი თანხისა და გამოსყიდვის თარიღისათვის დარიცხული და გადაუხდელი საპროცენტო სარგებლის თანხის გადახდის გზით „ობლიგაციების“ (შესაძლოა ნაწილობრივადაც) გამოსყიდვა, რაზეც „ობლიგაციონერებს“ ეცნობებათ წინამდებარე „პირობების“ 7.18 პუნქტის („*შეტყობინებები*“) შესაბამისად. აღნიშნულ შემოთავაზებაზე „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება განაღდებულად/დაფარულად „ემიტენტის“ მიერ გამოსყიდვის თარიღისათვის გადაუხდელი ძირითადი თანხისა და დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის თანხის გადახდის შედეგად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, „ობლიგაციები“, შესაბამის ნაწილში, ჩაითვლება გამოსყიდულად მხოლოდ „ემიტენტის“ შეთავაზებაზე შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ თანხმობის მიღების შემთხვევაში და აღნიშნულ შეთავაზებაზე დათანხმება ან უარის გაცხადება წარმოადგენს შესაბამისი „ობლიგაციონერ(ებ)ის“ აბსოლუტურ და უპირობო დისკრეციას.

„ემიტენტის“ შეთავაზება „ობლიგაციების“ გამოსყიდვის შესახებ გაგზავნილი იქნება ყველა „ობლიგაციონერისათვის“, რომელიც შესაბამის სააღრიცხვო თარიღზე არის იმ შესაბამისი ემისი(ებ)ის ფარგლებში გამოშვებული და განთავსებული „ობლიგაციების“ მესაკუთრე, რომელთა გამოსყიდვის შეთავაზებასაც ახორციელებს „ემიტენტი“.

„ემიტენტის“ კონკრეტული შეთავაზების ფარგლებში „ობლიგაციონერთა“ მხრიდან გამოხატული ინტერესის დაკმაყოფილების წესი განსაზღვრული იქნება შესაბამის შეთავაზებასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ მიერ მომზადებული და „ობლიგაციონერებისათვის“ მიწოდებულ შეტყობინებაში.

თუ „ობლიგაციები“ მანამდე არ იქნა გამოსყიდული, შეძენილი ან გაუქმებული, „ობლიგაციების“ დაფარვა მოხდება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“ განსაზღვრულ თარიღში, ძირი თანხის (ნომინალის) გადახდით. დაუშვებელია „ობლიგაციების“ გამოსყიდვა „ემიტენტის“ შეხედულებისამებრ, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც მოცემულია „პროსპექტში“ (მათ შორის, წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად).

(ბ) **შეძენა:** „ემიტენტს“ და მის „შვილობილ(ებ)ს“ უფლება აქვთ ნებისმიერ დროს შეიძინონ „ობლიგაციები“ ნებისმიერ ფასად საფონდო ბირჟაზე („ობლიგაციების“ რომელიმე საფონდო ბირჟის ლისტინგში დაშვების შემთხვევაში) ან სხვაგვარად. „ემიტენტის“ ან მისი „შვილობილის“ საკუთრებაში არსებული ამგვარი „ობლიგაციები“ არ სარგებლობენ ხმის უფლებით „ობლიგაციონერთა“ კრებაზე და არ მიიღებიან მხედველობაში „პირობების“ 7.13(ა) ქვეპუნქტით („*დეფოლტის შემთხვევები*“: „*გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა*“) გათვალისწინებული მიზნით, ან „ობლიგაციონერთა“ კრების კვორუმის დადგენის მიზნით.

7.11. გადახდები

(ა) ანგარიშსწორება:

(i) „ობლიგაციების“ ძირითადი თანხისა და „საპროცენტო სარგებლის“ დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე. ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამის ვალუტაში (აშშ დოლარში ან ევროში, როგორც ეს განსაზღვრული იქნება შესაბამისი „ობლიგაციების“ „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“), „საპროცენტო სარგებლის“ გადახდის თარიღზე „ობლიგაციონერებისა“ და „ანგარიშის მწარმოებლის“ სასარგებლოდ „განთავსების აგენტთან“ მათ საბროკერო ანგარიშზე გადარიცხვის გზით. თუ „ობლიგაციონერი“ „ობლიგაციებს“ პირდაპირ

„ცენტრალურ დეპოზიტართან“ ფლობს, „ობლიგაციონერებმა“ და „ანგარიშის მწარმოებელმა“ უნდა უზრუნველყონ „დეპოზიტარისთვის“ განახლებული, სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდება მათი საბანკო ანგარიშების შესახებ, რომელზეც მოხდება „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადახდა. არც „ემიტენტი“, არც „დეპოზიტარი“ და არც „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ არცერთ შემთხვევაში იქნებიან პასუხისმგებელი გადახდის არ/ვერ განხორციელების შემთხვევაში, თუ „ობლიგაციონერი“ ან/და „ანგარიშის მწარმოებელი“ „დეპოზიტარს“ დროულად არ მიაწვდის მისი საბანკო ანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ან „ემიტენტის“ ან „დეპოზიტარის“ მოთხოვნის მიუხედავად, „სააღრიცხვო თარიღისთვის“ ვერ უზრუნველყოფენ ამგვარი ინფორმაციის განახლებას.

(ii) თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ ზემორე ქვეპუნქტში მითითებული საბროკერო ანგარიში არ არის გახსნილი „განთავსების აგენტთან“, განხორციელებული გადახდებიდან შესაძლოა დაიქვითოს საბანკო მომსახურების საკომისიოები. თუ „ობლიგაციონერის“ ან „ანგარიშის მწარმოებლის“ საბროკერო ანგარიში (რომლებზეც მითითებულია ზემორე ქვეპუნქტში) არ არის გახსნილი „ობლიგაციების“ შესაბამის ვალუტაში (აშშ დოლარი ან ევრო), ანგარიშსწორება მოხდება შესაბამისი ვალუტის კონვერტაციის ხარჯების გამოკლებით.

(iii) ძირითადი თანხისა და დარიცხული „საპროცენტო სარგებლის“ სრული ოდენობით მიღებაზე „ობლიგაციონერთა“ წინამდებარე „პირობებით“ გათვალისწინებული უფლებების შეუზღუდავად, თუ ნებისმიერი გადახდის თარიღისათვის გადახდილი პროცენტი ან ძირითადი თანხა ნაკლებია ამ თარიღისათვის გადასახდელ თანხაზე, „ემიტენტი“ უზრუნველყოფს ყველა „ობლიგაციონერისათვის“ ან/და „ანგარიშის მწარმოებლისთვის“ ამგვარ თარიღზე გადასახდელად ხელმისაწვდომი თანხების შესაბამისი პროპორციული წილის გადახდას („ემიტენტი“ ვალდებულია ასეთი არსებული თანხა გადაანაწილოს თითოეულ „ობლიგაციონერს“ შორის მათი წილის პროპორციულად).

(iv) ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული პროცესები და შეზღუდვები დამატებით დგინდება „კანონმდებლობით“, „დეპოზიტარისა“ და სხვა შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა მიერ შემუშავებული წესებითა და პროცედურებით და „კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების“ შესაბამისად.

(ზ) აგენტების დანიშვნა:

„კალკულაციისა და გადახდის აგენტის“, „განთავსების აგენტის“ და „დეპოზიტარის“ იურიდიული დასახელება, ისევე, როგორც მათი საკონტაქტო ინფორმაცია, მითითებულია „პროსპექტში“ და შესაბამისი „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ და „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ და „განთავსების აგენტი” წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ „ემიტენტის“ აგენტებს და ამ „პროსპექტის“ და „ობლიგაციების“ შეთავაზების მიზნებისათვის, არ კისრულობენ რაიმე სახის ვალდებულებას „ობლიგაციონერების“ ან „ანგარიშის მწარმოებლების“ წინაშე და შესაბამისად, არ წარმოადგენენ მათ ინტერესებს. „ემიტენტი“ იტოვებს უფლებას, „ობლიგაციონერებისთვის“ ინფორმაციის მიწოდებით შეცვალოს ან შეწყვიტოს „კალკულაციისა და გადახდის აგენტთან“ ან/და „განთავსების აგენტთან“ ხელშეკრულება, ან/და დანიშნოს დამატებითი ან სხვა „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ან/და „განთავსების აგენტი“. ამასთან, „ემიტენტს“ ნებისმიერ დროს ევალება ჰყავდეს „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“. ნებისმიერ ასეთი ცვლილების ან/და მითითებული საკონტაქტო ინფორმაციის ცვლილების თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ობლიგაციონერებს“ „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე ამ ინფორმაციის გამოქვეყნების გზით ან წინამდებარე „პირობების“ 7.18 პუნქტის (*„შეტყობინებები“*) შესაბამისად.

„განთავსების აგენტსა“ და „ემიტენტს“ შორის განთავსების აგენტის მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულება შესრულებულად მიიჩნევა „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებული „ობლიგაციების“ ნომინალური ღირებულების სრულად განთავსების შემდგომ.

(გ) გაანგარიშება და გადახდა:

„ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ნებისმიერი გადასახდელი თანხის (მათ შორის, „საპროცენტო სარგებლის“) დაანგარიშება და გადახდა უნდა მოხდეს წინამდებარე „პროსპექტის“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ და „კანონმდებლობის“ შესაბამისად, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ, და გადახდა განხორციელდება იმ „ობლიგაციონერებისათვის“, რომლებიც „სააღრიცხვო თარიღისათვის“ არის „ობლიგაციების“ მესაკუთრეები. ამასთან, „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ დაანგარიშებული თანხა,

აშკარა შეცდომის გარდა, წარმოადგენს საბოლოო თანხას „ემიტენტისათვის“. „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მიერ თანხის დაანგარიშება მოხდება შესაბამისი გადახდის თარიღამდე არანაკლებ 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე და ეცნობება „ემიტენტს“. „ემიტენტი“ ვალდებულია, არაუგვიანეს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 1 (ერთი) „სამუშაო დღით“ ადრე „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე განათავსოს შესაბამისი თანხები შესაბამის ვალუტაში (აშშ დოლარში ან ევროში, როგორც ეს განსაზღვრული იქნება შესაბამისი „ობლიგაციების“ „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“) და მისცეს დავალება „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ აღნიშნული თანხების გადარიცხვაზე. „კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ უფლებამოსილია, მაგრამ არა ვალდებული, „ემიტენტის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი დავალების გარეშე მოახდინოს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ვადამოსული გადასახდელების („საპროცენტო სარგებლის“ ან/და ძირი თანხის) გადარიცხვა, „დეპოზიტარის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტისთვის“ მიწოდებულ „ანგარიშის მწარმოებელთა“ ანგარიშებზე, მათ სახელზე არსებული „ობლიგაციების“ პროპორციულად, რის შესახებაც ინფორმაციას მიაწოდებს „დეპოზიტარს“; ხოლო „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ მითითების შესაბამისად, „ემიტენტის“ მიერ „კალკულაციისა და გადახდის აგენტის“ საბანკო ანგარიშზე საკმარისი თანხის განუთავსებლობის შემთხვევაში, იგი აცნობებს აღნიშნულის თაობაზე „ემიტენტს“, „ანგარიშის მფლობელებსა“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) და „დეპოზიტარს“.

თუ „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით გადასახდელი „საპროცენტო სარგებლის“ თანხა, რომელიც გამოიანგარიშება წინამდებარე „პირობების“ შესაბამისად, არ იქნება 0.01 აშშ დოლარის/ევროს ჯერადი, ამგვარი ციფრი დამრგვალდება უახლოეს 0.01 აშშ დოლარის/ევროს ჯერად რიცხვამდე (0.005-0.009 აშშ დოლარის/ევროს დამრგვალება მოხდება ზემოთ).

(დ) **ფისკალური კანონმდებლობა**:

ნებისმიერი გადახდა უნდა მოხდეს საქართველოს მოქმედი ფისკალური / საანგარიშსწორებო კანონმდებლობისა ან/და სხვა კანონების, მარეგულირებელი ნორმებისა და სხვა კანონქვემდებარე აქტების დაცვით.

(ე) **გადახდის დაგვიანება / არასამუშაო დღეები**:

„ობლიგაციონერი“ ვერ მოითხოვს პროცენტის, ჯარიმის ან მსგავსი გადასახდელის დაკისრებას ნებისმიერი გადასახდელის დაგვიანებით გადახდისთვის იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გადასახდელის გადახდის თარიღი არ ემთხვევა „სამუშაო დღეს“. ვადამოსული გადასახდელის გადახდა მოხდება მომდევნო „სამუშაო დღეს“.

7.12. დაბეგვრა

„ემიტენტის“ მიერ ან მისი სახელით „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული ძირითადი თანხისა და სარგებლის ყველა გადახდა უნდა განხორციელდეს საქართველოში სახელმწიფო ან დაბეგვრის უფლებამოსილების მქონე ნებისმიერი ორგანოს მიერ დაკისრებული, დარიცხული, დადგენილი, დაწესებული ან დაკავებული ნებისმიერი „გადასახადის“ ან სხვა გადასახდელის დაკავების ან გამოქვითვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დაკავება ან გამოქვითვა მოთხოვნილია კანონით.

7.13. დეფოლტის შემთხვევები

დეფოლტის შემთხვევები (შემდგომში - „დეფოლტის შემთხვევები“) არის შემდეგი:

(ა) **გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა:** „ემიტენტი“ ვერ შეძლებს „ობლიგაციების“ ძირითადი თანხის, დარიცხული „საპროცენტო სარგებლის“ ან „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე რაიმე სხვა თანხის გადახდას, და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება შესაბამისი ანგარიშსწორებისთვის განსაზღვრული თარიღიდან 5 (ხუთი) „სამუშაო დღის“ ვადაში; ან

(ბ) **სხვა ვალდებულების დარღვევა:** „ემიტენტის“ მიერ „პირობების“ 7.7 პუნქტის რომელიმე ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა; ან

(გ) **ჯვარედინი დეფოლტი:** „ემიტენტის“ ნებისმიერი სხვა არსებული ან სამომავლო „ვალდებულება“ ნასესხებ ან მოზიდულ თანხებთან მიმართებით გახდა დათქმულ ვადამდე გადასახდელი, „ვალდებულების“ ნებისმიერი შეუსრულებლობის მიზეზით, იმ პირობით და იმის გათვალისწინებით, რომ

ამგვარი შეუსრულებელი ვალდებულებ(ებ)ის ჯამური მოცულობა „ობლიგაციონერების“ გონივრული შეფასებით შეადგენს ან აღემატება 25,000,000 აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს ნებისმიერ სხვა ვალუტაში; ან

(დ) **რეზოლუციის რეჟიმის შემოღება:** „სებ“-ის მიერ „ემიტენტის“ მიმართ შემოღებული იქნა რეზოლუციის რეჟიმი.

7.14. „ობლიგაციების“ ვადამოსულად გამოცხადება

თუ დადგება და ქვემორე პარაგრაფში მითითებული დროითი პერიოდის განმავლობაში გრძელდება ნებისმიერი „დეფოლტის შემთხვევა“, „ობლიგაციონერები“ „პირობების“ 7.18 პუნქტის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) შესაბამისად, უფლებამოსილი არიან „ემიტენტისათვის“ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე მოთხოვნები გამოაცხადონ ვადამოსულად და მოითხოვონ „ემიტენტისაგან“ „ობლიგაციების“ დაუყოვნებლივ განაღდება და ძირითადი თანხის (ნომინალის) 100%-სა და დარიცხული და ამ დროისთვის გადაუხდელი „საპროცენტო სარგებლის“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა (შემდგომში - „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება“), შემდეგი წესების დაცვით: „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება“ ძალაში შევა:

- 7.13 პუნქტის7.13 („*დეფოლტის შემთხვევები*“) (ა) ქვეპუნქტით („*გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა*“) განსაზღვრული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემთხვევაში - „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადებისთანავე“;
- ნებისმიერი სხვა „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემთხვევაში - „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადებიდან“ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის გასვლისთანავე.

ამასთან, „ობლიგაციონერები“ უფლებამოსილი არიან „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადების“ გადაწყვეტილება მიიღონ შემდეგი წესის მიხედვით:

- 7.13 პუნქტის („*დეფოლტის შემთხვევები*“) (ა) ქვეპუნქტით („*გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა*“) განსაზღვრული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემთხვევაში - ნებისმიერი „ობლიგაციონერის“ ან „ობლიგაციონერების“ გადაწყვეტილებით, რომლის/რომელთა საკუთრებაშიც არის გაუნაღდებელი „ობლიგაციების“ სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი) ან მეტი.
- ნებისმიერი სხვა „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემთხვევაში - „პირობების“ 7.15 პუნქტის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) შესაბამისად მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე.

7.15. „ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა

(ა) ობლიგაციონერების კრებები:

„ობლიგაციონერთა“ მიერ წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებულ და განთავსებულ „ობლიგაციებთან“ ან/და „პროსპექტის“ პირობებთან ან/და წინამდებარე 7.15 პუნქტით გათვალისწინებულ რომელიმე კატეგორიის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება „ობლიგაციონერთა“ „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“, „სპეციალური გადაწყვეტილების“ ან „გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის გადაწყვეტილების“ სახით. აღნიშნული ტიპის გადაწყვეტილებებს დაქვემდებარებული საკითხების კატეგორიები, კრების გადაწყვეტილებაუნარიანობისათვის საჭირო კვორუმი და გადაწყვეტილებათა მისაღებად საჭირო ხმათა რაოდენობები განისაზღვრება წინამდებარე 7.15 პუნქტით.

„ობლიგაციონერთა“ კრებაზე მიღებული ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილება („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“, „სპეციალური გადაწყვეტილება“ ან/და „გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილება“) და „ობლიგაციონერების“ მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილებით შემდგარი ნებისმიერი კატეგორიის გადაწყვეტილება („ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“, „სპეციალური გადაწყვეტილება“ ან/და „გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილება“), ძალაში შედის „პირობების“ 7.18 პუნქტის („*შეტყობინებები*“) შესაბამისად ამგვარი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგ. „ობლიგაციონერთა“ მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა გაეგზავნოს „ემიტენტს“, ხოლო „ემიტენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს 2 (ორი) „სამუშაო დღის“ ვადაში უზრუნველყოს ასეთი გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე გამოქვეყნება. ნებისმიერი მიზეზით გადაწყვეტილების „ემიტენტის“ ვებგვერდზე

გამოუქვეყნებლობის შემთხვევაში, ასეთი გადაწყვეტილება ძალაში შესულად ჩაითვლება „ემიტენტისთვის“ გადაწყვეტილების მიწოდებიდან 2 (ორი) „სამუშაო დღის“ გასვლის შემდეგ.

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“:

„ობლიგაციონერების“ ნებისმიერი გადაწყვეტილება, მოთხოვნა, თანხმობა ან/და „ობლიგაციონერების“ „პირობებში“ ხსენებული ნებისმიერი სხვა ქმედება/გადაწყვეტილება, რომელიც არ კვალიფიცირდება „სპეციალურ გადაწყვეტილებად“ ან „გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილებად”, მიიღება დამსწრე ხმათა არანაკლებ 51% უმრავლესობით (შემდგომში - „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“).

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და კრების მოწვევის დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე ობლიგაციონერებს (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

„ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს განსახილველ დროს დაუფარავი „ობლიგაციების“ საერთო ძირი ოდენობის 50%-ზე მეტს, ან ნებისმიერი „განმეორებითი კრების“ მიმართ - ორ ან მეტ პირს, რომელიც ფლობს ან წარმოადგენს „ობლიგაციონერს“, მიუხედავად საკუთრებაში არსებული ან წარმოდგენილი „ობლიგაციების“ ძირი თანხისა. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“ მბოჭავია „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

დაუფარავი „ობლიგაციების“ 51%-ის ან მეტის მესაკუთრე „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „ჩვეულებრივი გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.

„სპეციალური გადაწყვეტილება“:

ქვემორე (i)-(ix) ქვეპუნქტებში მითითებულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება საჭიროებს სათანადოდ მოწვეულ კრებაზე დამსწრე ხმების 75%-ით გადაწყვეტილების მიღებას (შემდგომში - „სპეციალური გადაწყვეტილება“).

შემდეგი საკითხები უნდა იქნას გადაწყვეტილი „სპეციალური გადაწყვეტილებით“:

(i) „ობლიგაციების“ ნებისმიერი ფინანსური პირობის ცვლილება;
(ii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით ნებისმიერი ძირი თანხის ან „პროცენტის გადახდის თარიღის“ ცვლილება;
(iii) „ობლიგაციებთან“ მიმართებით ნებისმიერი გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლის მეთოდის ცვლილება;
(iv) „ობლიგაციებთან“ მიმართებით გადასახდელი ძირი თანხის ან „საპროცენტო სარგებლის“ განაკვეთის / პროცენტის ოდენობის ცვლილება;
(v) თანხმობის განცხადება „ემიტენტის“ ან რომელიმე სხვა პირის აქციებში ან სხვა ვალდებულებებში ან ფასიან ქაღალდებში „ობლიგაციების“ გადაცვლაზე, ჩანაცვლებაზე ან კონვერტაციაზე;
(vi) „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ანგარიშსწორების ვალუტის შეცვლა (გარდა იმ ცვლილებებისა, რაც მოითხოვება შესაბამისი მარეგულირებელი „კანონმდებლობით“);
(vii) „ობლიგაციონერების“ კრებებზე საჭირო კვორუმის ან „სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად საჭირო ხმების ოდენობის ცვლილება;
(viii) წინამდებარე „პირობების“ შესაბამისი „დეფოლტის შემთხვევების“ განსაზღვრების ცვლილება;
(ix) „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება“, შესაბამისი სააღსრულებლო პროცედურების დაწყება, შესაბამისი უფლებამოსილი პირის განსაზღვრა და აღსრულების პროცედურასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (გარდა „პირობების“ 7.13 პუნქტით (*„დეფოლტის შემთხვევები“*) (ა) ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით „ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადების“ შემთხვევისა).

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ „ემიტენტს“ ან/და კრების მოწვევის დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე ობლიგაციონერებს (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

„სპეციალური გადაწყვეტილების“ მისაღებად მოწვეული ნებისმიერი თავდაპირველი კრების კვორუმს წარმოადგენს ორი ან მეტი პირი, რომელიც განხილვის დროისთვის ან წარმოადგენენ დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირი თანხის არანაკლებ ორ მესამედს, ან „განმეორებით კრებაზე“ - არანაკლებ ერთ მესამედს. ნებისმიერი სათანადოდ მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილება“ მბოჭავია „ობლიგაციონერებისთვის“ (მიუხედავად იმისა, ესწრებოდნენ თუ არა ისინი კრებას, რომელზეც მიღებულ იქნა ასეთი გადაწყვეტილება).

დაუფარავი „ობლიგაციების“ 75%-ის ან მეტის მესაკუთრე „ობლიგაციონერების“ მიერ ან მათი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი გადაწყვეტილება ძალაში შევა ისევე, როგორც „სპეციალური გადაწყვეტილება“. ამგვარი გადაწყვეტილება წერილობითი ფორმით შეიძლება წარმოდგენილი იყოს ერთი ან ერთი და იმავე ფორმისა და შინაარსის რამდენიმე დოკუმენტით, რომელთაგან თითოეული ხელმოწერილია ერთი ან რამდენიმე „ობლიგაციონერის“ მიერ.

„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილება“:

„პირობების“ 7.13 პუნქტის (*„დეფოლტის შემთხვევები“*) (ა) ქვეპუნქტით (*„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა“*) განსაზღვრული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიიღება ასეთი გადაწყვეტილების მიღების დროისათვის დაუფარავი „ობლიგაციების“ 25%-ის (ოცდახუთი პროცენტი) მესაკუთრეთა გადაწყვეტილებით (შემდგომში - „გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილება“).

ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად კრების მოწვევის უფლება გააჩნიათ კრების მოწვევის დროისთვის დაუფარავი „ობლიგაციების“ ძირი ოდენობის არანაკლებ 10%-ის მესაკუთრე ობლიგაციონერებს (ან/და მათი სახელით მოქმედ „ანგარიშის მწარმოებლებს“).

„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილების” მისაღებად მინიმალური კვორუმის მოთხოვნები არ არის დადგენილი.

(ბ) კრების მოწვევა და ჩატარება:

„ემიტენტს“ (თუმცა მხოლოდ „ჩვეულებრივი გადაწყვეტილების“ ან/და „სპეციალური გადაწყვეტილების“ შემთხვევაში) ან/და იმ „ობლიგაციონერებს“, რომლებიც ერთობლივად არიან „ობლიგაციების“ დაუფარავი ძირი თანხის სულ მცირე 10%-ის მესაკუთრე (შემდგომში - „კრების მოწვევის ინიციატორი“) შეუძლიათ ნებისმიერ დროს მოიწვიონ კრება. „კრების მოწვევის ინიციატორმა“ „ობლიგაციონერებს“ ან/და „ემიტენტს“ უნდა გაუგზავნოს შეტყობინება სულ მცირე 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღით“ ადრე. შეტყობინება უნდა იქნას გაგზავნილი „პირობების“ 7.18 პუნქტის (*„შეტყობინებები“*) შესაბამისად. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების ჩატარების დღე, დრო და ადგილი. კრებაზე დასწრების უფლება აქვს „ემიტენტს“ ან/და მის წარმომადგენელს.

კრებაზე წარმოდგენილი „ობლიგაციონერები“ ან აგენტები აირჩევენ თავმჯდომარეს ერთმანეთიდან ან, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ემიტენტი“ დანიშნავს თავმჯდომარეს. განმეორებით ჩატარებული კრების თავმჯდომარე არ არის აუცილებელი იყოს იგივე პირი, ვინც წარმოადგენდა თავდაპირველი კრების თავმჯდომარეს.

არცერთი საკითხი (გარდა თავმჯდომარის არჩევისა) არ შეიძლება იქნას განხილული კრებაზე იმ შემთხვევაში, თუ საკითხის განხილვის დაწყებისას კვორუმი არ არის შემდგარი. თუ კრებისთვის დანიშნული დროიდან 15 წუთის გასვლის შემდეგ არ არის კვორუმი შემდგარი, კრება უნდა დაიშალოს. ნებისმიერ შემთხვევაში, კრება უნდა გადაიდოს იმ თარიღამდე და იმ დროსა და ადგილას, რომელსაც გადაწყვეტს თავმჯდომარე და რომელიც არ უნდა იყოს 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღეზე“ ადრე და 42 (ორმოცდაორი) „სამუშაო დღეზე“ გვიან. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, წინამდებარე პარაგრაფში გათვალისწინებული კვორმუთან დაკავშირებული საკითხები არ ეხება

„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილების“ განსახილველად მოწვეულ კრებას, რომლის მიმართაც არ არის დადგენილი კვორუმი.

(გ) ხმის მიცემა:

კრებაზე დასმული ნებისმიერი საკითხი უნდა გადაწყდეს ხელის აწევით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არის მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა (ხელის აწევამდე ან შედეგის გამოცხადებამდე) თავჯდომარის, „ემიტენტის“ ან ერთი ან მეტი პირის მიერ, რომლებიც წარმოადგენენ იმ დროისათვის დაუფარავი „ობლიგაციების“ 2%-ს. ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, მომხრე თუ მოწინააღმდეგე დამსწრე ხმების რაოდენობის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება გამოცხადდება თავმჯდომარის მიერ.

თუ ფარული კენჭისყრა არის მოთხოვნილი, ის უნდა ჩატარდეს ისეთი ფორმით და (ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად) დაუყოვნებლივ ან კრების განმეორების შემდეგ, როგორც ამის შესახებ თავმჯდომარე მიუთითებს. ფარული კენჭისყრის შედეგი მიიჩნევა იმ კრების გადაწყვეტილებად, რომელზეც იქნა მოთხოვნილი კრების ჩატარების თარიღით. ფარული კენჭისყრის მოთხოვნა არ შეუშლის ხელს სხვა საკითხების განხილვის მიზნით კრების გაგრძელებას.

თავმჯდომარის არჩევის ან განმეორებითი კრების ჩატარების შესახებ მოთხოვნილი ფარული კენჭისყრა უნდა ჩატარდეს ერთჯერადად.

კრებაზე ყველა პირს აქვს ერთი ხმა იმ თითოეულ „ობლიგაციაზე“, რომლის მესაკუთრეც არის ან წარმოადგენს (ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში). პირი, რომელსაც აქვს ერთზე მეტი ხმა, არ არის ვალდებული, გამოიყენოს ან მისცეს ყველა ხმა ერთგვაროვნად. ხმების თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, როგორც ხელის აწევის ისე ფარული კენჭისყრის შემთხვევაში, თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმა იმ სხვა ხმებზე დამატებით, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს.

ყველა კრების მიმდინარეობის და მასზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უნდა შედგეს ოქმი და თუ იგი საჭიროებს კრების თავმჯდომარის მიერ ხელმოწერას, იგი მიჩნეულ უნდა იქნას დასკვნით მტკიცებულებად განხილულ საკითხებთან მიმართებით. სანამ საწინააღმდეგო დამტკიცდება, ყოველი კრება, რომლისთვის შედგენილია და ხელმოწერილია კრების ოქმი, ითვლება სათანადოდ მოწვეულად და ჩატარებულად და ყველა გადაწყვეტილება მიღებულად ან შესაბამისი პროცედურები სათანადოდ განხორციელებულად.

„ემიტენტი“ ვალდებულია შეატყობინოს „ობლიგაციონერებს“ „ობლიგაციონერთა“ კრებაზე ნებისმიერი გადაწყვეტილების (გარდა „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევისა) მიღების შესახებ, „პირობების“ 7.18 პუნქტის („*შეტყობინებები*“) შესაბამისად ან „ემიტენტის“ ვებ-გვერდზე საჯაროდ გამოქვეყნების გზით, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 14 (თოთხმეტი) „სამუშაო დღის“ განმავლობაში, მაგრამ ამ „ვალდებულების“ შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას. „ობლიგაციების“ პირობების ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებული უფლებების ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, „ემიტენტი“ ვალდებულია ამგვარი ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ გახადოს საჯარო, მაგრამ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს გადაწყვეტილების ბათილობას.

7.16. აღსრულება

„ობლიგაციონერები“ უფლებამოსილნი არიან დაიწყონ აღსრულების პროცედურა „ემიტენტის“ მიმართ შემდეგი წესის მიხედვით:

- 7.13 პუნქტის („*დეფოლტის შემთხვევები*“) (ა) ქვეპუნქტით („*გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობა*“) განსაზღვრული „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემთხვევაში - ნებისმიერი „ობლიგაციონერის“ ან „ობლიგაციონერების“ გადაწყვეტილებით, რომლის/რომელთა საკუთრებაშიც არის გაუნაღდებელი „ობლიგაციების“ სულ მცირე 25% (ოცდახუთი პროცენტი) ან მეტი.
- ნებისმიერი სხვა „დეფოლტის შემთხვევის“ დადგომის შემთხვევაში - „პირობების“ 7.15 პუნქტის („„*ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) შესაბამისად მიღებული „სპეციალური გადაწყვეტილების“ საფუძველზე.

7.17. პუნქტის ბათილობა

„პირობების“ ნებისმიერი მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის თუ დებულების ბათილობა ან ძალის დაკარგვა არ მოახდენს გავლენას „პირობების“ სხვა მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის თუ დებულებების მოქმედებაზე და სამართლებრივ ძალაზე. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე „პირობების“ რომელიმე მუხლის, პუნქტის, ქვეპუნქტის ან დებულების ფარგლები ფართოა, რის შედეგადაც დაუშვებელია მისი აღსრულება, იგი იქნება აღსრულებული იმ მაქსიმალური ხარისხით და ფარგლებით, რამდენადაც ეს დასაშვებია „კანონმდებლობით“.

7.18. შეტყობინებები

„ემიტენტის“ შეტყობინება „ობლიგაციონერების“ მიმართ უნდა გაეგზავნოს „ცენტრალურ დეპოზიტარს“, წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, ხოლო „ცენტრალური დეპოზიტარი“, თავის მხრივ, „ემიტენტის“ შეტყობინების შესახებ აცნობებს ყველა შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“.

„ობლიგაციონერებმა“ შეტყობინება უნდა გაუგზავნონ შესაბამის „ანგარიშის მწარმოებელს“ (ხოლო თუ „ობლიგაციონერი“ „ობლიგაციებს“ ფლობს პირდაპირ „დეპოზიტართან“, მაშინ „დეპოზიტარს“), წინამდებარე „პროსპექტში“ მითითებულ მის ელ-ფოსტაზე ან მისამართზე, თუ „ანგარიშის მწარმოებლები“ (შესაბამის შემთხვევაში, „დეპოზიტარი“) „ობლიგაციონერებს“ წერილობით სხვაგვარად არ შეატყობინებენ.

ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ამ მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მატერიალური სახით შესაბამის მისამართზე გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ითვლება სათანადო წესით გაგზავნილად და იგი არ საჭიროებს დამატებით ელ-ფოსტით მეშვეობით გაგზავნას.

იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება გამოქვეყნების ან შესაბამის ელ-ფოსტაზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გამოქვეყნების ან მისი ელ-ფოსტით გაგზავნის თარიღზე, ან, თუკი შეტყობინების გამოქვეყნება ან ელ-ფოსტაზე გაგზავნა მოხდა ერთ ჯერზე მეტად, შეტყობინება სათანადოდ მიწოდებულად ჩაითვლება მისი პირველად გასაჯაროების ან ელ-ფოსტაზე პირველად გაგზავნის თარიღზე. იმ შემთხვევაში, თუ ხდება შეტყობინების მიწოდება მისამართზე გაგზავნის გზით, ნებისმიერი მსგავსი შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად მისი გაგზავნის თარიღიდან მე-4 „სამუშაო დღეს“.

„ემიტენტი“ „ობლიგაციონერთა“ კრების მოწვევის შესახებ ინფორმაციას მიაწოდებს „დეპოზიტარს“ ან/და შეტყობინებას გამოაქვეყნებს სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მეშვეობით.

რეგულირებადი ინფორმაციის გასაჯაროვების მიზნით გამოყენებული იქნება „კანონმდებლობით“ განსაზღვრული რომელიმე საჯარო წყარო (https://reportal.ge/; https://gse.ge/; https://tse.ge/ ; სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, „ემიტენტის“ ვებ-გვერდი), რომლებზეც განხორციელდება რეგულირებადი ინფორმაციის გამოქვეყნება, მათ შორის, „გამჭვირვალობის წესის“ (როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ) მე-9 მუხლით დადგენილი ვალდებულებების შესრულება:

- ნებისმიერი ცვლილება საჯარო ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ისეთი ცვლილებები ფასიანი ქაღალდის პირობებში, რომლებმაც შესაძლოა არაპირდაპირი გავლენა იქონიოს ფასიანი ქაღალდის მფლობელის უფლებებზე ან რომლებიც გამომდინარეობს სასესხო პირობებისა და საპროცენტო განაკვეთების ცვლილებიდან;
- ინფორმაცია სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთის, პერიოდული გადახდების, კონვერტაციის/გადაცვლის, ყიდვის ან გაუქმების უფლების, ან დაფარვის შესახებ;
- ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების სათანადოდ განსახორციელებლად;
- ინფორმაცია საერთო კრების ადგილის, დროის, დღის წესრიგისა და საერთო კრებაში მონაწილეობის მიღების უფლების შესახებ.

„ემიტენტი“ რეგულირებადი ინფორმაციის სხვადასხვა ტიპებისთვის, შესაბამისად გეგმავს ქვემოთ ჩამოთვლილი წყაროების გამოყენებას, რომლის ცვილების შემთხვევაში უზრუნველყოფს „ობლიგაციონერთა“ ინფორმირებას „პირობებით“ განსაზღვრული წესით:

- პერიოდული ფინანსური ანგარიშგებები: https://reportal.ge/ ;
- სხვა მიმდინარე ანგარიშები: „ემიტენტის“ ან საქართველოს საფონდო ბირჟის / თბილისის საფონდო ბირჟის ვებ-გვერდი, ან რეპორტალის ვებ-გვერდი https://reportal.ge/;
- კრებებთან/გადაწყვეტილებებთან და სხვა მსგავს საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია: სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ან/და „ემიტენტის“ ვებ-გვერდი.

7.19. ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი

1. „ინვესტორი“ და „ემიტენტი“ აღიარებენ, აცნობიერებენ და თანხმდებიან, რომ:

   (ა) „სებ“-ი უფლებამოსილია, რეზოლუციის რეჟიმში მყოფი „ემიტენტის“ რეკაპიტალიზაციის მიზნით, „ემიტენტის“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ვალდებულებების მიმართ გამოიყენოს „ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი“, რომელიც შეიძლება მოიცავდეს ან/და გამოიწვიოს:
   (i) „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ვალდებულებების“ სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერა; ან/და
   (ii) „გადასახდელი თანხის“ სრულად ან ნაწილობრივ შემცირება; ან/და
   (iii) „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ვალდებულებების“ ან/და „გადასახდელი თანხის“ სრულად ან ნაწილობრივ კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში, რა შემთხვევაშიც „ინვესტორი“ თანახმაა „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე თავისი მოთხოვნების/უფლებების სანაცვლოდ მიიღოს ამგვარი ჩვეულებრივი აქციები ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტები; ან/და
   (iv) „ობლიგაციების“ გაუქმება; ან/და
   (v) „ობლიგაციის“ დაფარვის ვადის შეცვლა ან გადასახდელი „კუპონის“ ოდენობის შეცვლა, ან „კუპონის“ გადახდის თარიღის შეცვლა, მათ შორის, გადახდების დროებითი შეჩერება.

   (ბ) „სებ“-ი უფლებამოსილია, „სებ“-ის მიერ „ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტის“ გამოყენების მიზნით, საჭიროებისამებრ შეცვალოს „პროსპექტის“ ან/და შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ პირობები.

2. წინამდებარე პირობის მიზნებისათვის, „ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტი“ არის ნებისმიერი უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს კომერციული ბანკის რეზოლუციის რეჟიმთან დაკავშირებით საქართველოში დროდადრო მოქმედი ნებისმიერი კანონიდან, რეგულაციიდან ან/და წესიდან, მათ შორის, შეუზღუდავად, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ 1996 წლის 23 თებერვლის №121 საქართველოს კანონიდან (დროდადრო მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით), „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ 2009 წლის 24 სექტემბრის №1676 საქართველოს ორგანული კანონიდან (დროდადრო მასში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით), და მათი დანერგვის/იმპლემენტაციის მიზნით მიღებული რეგულაციებიდან, ან რომელიც სხვაგვარად გამომდინარეობს საქართველოს კანონმდებლობიდან ან მის საფუძველზე შექმნილი ინსტრუქციებიდან, წესებიდან ან/და სტანდარტებიდან, რომლებიც დასაშვებს ხდის „ემიტენტის“ „ვალდებულებების“ სრულად ან ნაწილობრივ შემცირებას, ჩამოწერას, გაუქმებას, შეჩერებას, გადაცემას ან ნებისმიერი ფორმით შეცვლას, ან კონვერტაციას ჩვეულებრივ აქციებში ა ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში რაც დაკავშირებულია „სებ“-ის მიერ რეზოლუციის ან მისი მსგავსი ან ანალოგიური რეჟიმის ან სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან.

   წინამდებარე პირობის მიზნებისათვის, „გადასახდელი თანხა“ ნიშნავს „ობლიგაციის“ მიმდინარე გადაუხდელ ძირითად თანხას და დარიცხულ, თუმცა გადაუხდელ „კუპონს“.

3. „სებ“-ის მიერ „ემიტენტის“ ან/და „ობლიგაციების“ მიმართ „ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტის“ გამოყენების შედეგად „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ვალდებულებების“ სრულად ან ნაწილობრივ ჩამოწერა ან/და „გადასახდელი თანხის“ სრულად ან ნაწილობრივ შემცირება ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე „ვალდებულებების“ ან/და „გადასახდელი

თანხის“ სრულად ან ნაწილობრივ კონვერტაცია ჩვეულებრივ აქციებში, ან საკუთრების სხვა ინსტრუმენტებში ან/და „ობლიგაციების“ გაუქმება ან/და „სებ“-ის მიერ „ემიტენტის“ ან/და „ობლიგაციების“ მიმართ „ვალდებულებების ჩამოწერის ან კონვერტაციის სარეზოლუციო ინსტრუმენტის“ გამოყენება ან/და „სებ“-ის მიერ „ემიტენტის“ მიმართ რეზოლუციის რეჟიმის ან ნებისმიერი სხვა სარეზოლუციო უფლებამოსილების გამოყენება არ იქნება „დეფოლტის შემთხვევა“ და არ ჩაითვლება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევად და არ მისცემს „ინვესტორს“ უფლებას ისარგებლოს ნებისმიერი სამართლებრივი დაცვის საშუალებებით და „ინვესტორი“ აქვე უარს აცხადებს ამგვარ სამართლებრივ დაცვის საშუალებებზე.

7.20. მარეგულირებელი კანონმდებლობა და იურისდიქცია

(ა) **მარეგულირებელი კანონმდებლობა:** „პროსპექტი“, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ ან/და „ობლიგაციები“, ასევე მათგან გამომდინარე ან/და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი არასახელშეკრულებო ვალდებულება, წესრიგდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

(ბ) **იურისდიქცია:** საქართველოს სასამართლოებს გააჩნიათ ექსკლუზიური კომპეტენცია „პროსპექტთან“, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტთან“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტთან“ ან/და „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე (მათ შორის, ნებისმიერ სარჩელზე, დავაზე ან შეუთანხმებლობაზე „პროსპექტის“, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტის“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ ან/და „ობლიგაციების“ გამოშვებასთან, მოქმედების შეწყვეტასთან ან ნამდვილობასთან დაკავშირებით) ან/და „პროსპექტიდან“, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტიდან“, „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტიდან“ ან/და „ობლიგაციებიდან“ გამომდინარე ნებისმიერ არასახელშეკრულებო ვალდებულებებთან დაკავშირებით წარმოშობილ ნებისმიერ დავაზე.

7.21. განმარტებები:

თუ შინაარსი სხვაგვარ განმარტებას არ მოითხოვს, წინამდებარე „პირობებში“ გამოყენებულ განსაზღვრებებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობები:

„გადავადებული განთავსების ფასი“ განიმარტება შესაბამისი შეთავაზების პირობების დოკუმენტით.

„გადასახადი“ ნიშნავს ნებისმიერ გადასახადს, ბაჟს, მოსაკრებელს ან მსგავსი ტიპის სხვა გადასახადს, მიუხედავად წარმოშობის ადგილისა (პროცენტებისა და ჯარიმების და მათზე დამატებების ჩათვლით) და დაკისრების ან განსაზღვრის გზისა.

„გამოშვების თარიღი“ ნიშნავს თარიღს, რომელ თარიღზეც გამოშვებული იქნა „ობლიგაციები“ და თითოეული ემისიითვის აღნიშნული თარიღი განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„გამჭვირვალობის წესი“ ნიშნავს „სებ“-ის პრეზიდენტის 2020 წლის 7 ოქტომბრის №181/04 ბრძანებით დამტკიცებულ „ემიტენტის შესახებ ინფორმაციის გამჭვირვალობისა და „ემიტენტისათვის“ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის დანიშვნის წესს“, მასში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

„განმეორებითი კრება“ ნიშნავს „ობლიგაციონერების“ კრებას, რომელიც ტარდება იმ წინა კრების განმეორებით, რომელზეც საკითხთა განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო კვორუმი არ შედგა.

„დაფარვის თარიღი“ ნიშნავს „ობლიგაციების“ საბოლოო დაფარვის თარიღს, როცა „ემიტენტმა“ უნდა დაფაროს შესაბამისი ტრანშის/ემისიის „ობლიგაციები“ მათი ძირითადი თანხისა და მათზე დარიცხული და გადაუხდელი პროცენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდით, და რომელიც განისაზღვრება შესაბამისი ემისიის „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტით“.

„ვალდებულება“ ნებისმიერი „პირის“ მიმართ, ნებისმიერი მომენტისათვის გულისხმობს (დუბლირების გარეშე):

(ა) ამ „პირის“ მიერ თანხების სესხების შედეგად წარმოქმნილი ყველა დავალიანება/ვალდებულებას;

(ბ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რაც გამომდინარეობს ობლიგაციებიდან, თამასუქებიდან ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტებიდან;

(გ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას, რომელიც გამომდინარეობს აკრედიტივებიდან ან მსგავსი ინსტრუმენტებიდან (მათ შორის, ასანაზღაურებელი ვალდებულებები), მისი ჩვეული ბიზნეს- საქმიანობის ფარგლებში გამოშვებული/გაცემული ნებისმიერი აკრედიტივის, გარანტიის ან სხვა მსგავსი ინსტრუმენტის გამოკლებით;

(დ) ამ „პირის“ ყველა ვალდებულებას ქონების, აქტივების ან მომსახურების გადავადებული და გადაუხდელი სარეალიზაციო ფასის გადახდასთან დაკავშირებით, რომელიც არ მოიცავს „ემიტენტის“ ჩვეულ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული სავაჭრო და სხვა ვალდებულებს;

(ე) სხვა „პირების“ ვალდებულებებს, რომლებიც უზრუნველყოფილია ამ „პირის“ აქტივებზე (რომელთა ღირებულება უნდა დადგინდეს უკანასკნელი საფინანსო წლისათვის „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ შესაბამისად მომზადებულ ფინანსური უწყისებში ასახული საბალანსო ღირებულებით) „უზრუნველყოფის ღონისძიებით“, მიუხედავად იმისა, კისრულობს თუ არა ეს „პირი“ აღნიშნული სხვა „პირების“ ვალდებულებებს;

(ვ) სხვა „პირების“ ყველა დავალიანებას, რომელიც გარანტირებულია ან დაზღვეულია ამ „პირის“ მიერ, არაუმეტეს ამ „პირის“ მიერ ნაკისრი პასუხისმგებლობის მოცულობით;

(ზ) ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით მოზიდულ ნებისმიერ თანხას, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება გამოსყიდვას;

(თ) წმინდა ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ ნებიმიერი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების ხელშეკრულებიდან; და

(ი) ნებისმიერი სხვა ოპერაციის (მათ შორის, ნებისმიერი ფორვარდული ყიდვის ან გაყიდვის ხელშეკრულებების) ფარგლებში მოზიდულ თანხას, რაც ეკონომიკური ან კომერციული შინაარსით სესხის იდენტურია, და ნებისმიერი „პირის“ ვალდებულების მოცულობა ნებისმიერი თარიღისათვის განისაზღვრება ამ თარიღის მდგომარეობით ზემოთ აღნიშნული ყველა უპირობო ვალდებულების დაუფარავი მოცულობისა, და ყველა პირობადადებული ვალდებულების შესაძლო მაქსიმალური მოცულობის (რაც შეიძლება დადგეს, თუკი მატერიალიზებული იქნება ის პირობა, რაც იწვევს ამ ვალდებულების წარმოშობას) ჯამური ოდენობით.

წმინდა ფინანსური დავალიანება ნებისმიერ პირისათვის განსაზღვრის თარიღში ნიშნავს (დუბლირების გარეშე) დავალიანებას გამოკლებული ხელმისაწვდომი/არსებული ფული.

„ინვესტორის მაკონტროლებელი პირი“ ნიშნავს „პირს“, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ „აკონტროლებს“ ან ფლობს „ინვესტორს“ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

„კანონმდებლობა“ ნიშნავს საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში შემავალ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ნებისმიერი სასამართლოს, არბიტრაჟის, სამთავრობო ორგანოს, მარეგულირებელი ორგანოს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, „სებ“-ის) ან სხვა მსგავსი ორგანოს/ფორუმის ნებისმიერ მოთხოვნას, ინსტრუქციას/მითითებას, დირექტივას, ბრძანებას ან გადაწყვეტილებას.

„კონტროლი“ ნიშნავს „პირის“ ხელმძღვანელობისა და პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას „სააქციო კაპიტალის“ ფლობით, სახელშეკრულებო ურთიერთობის საფუძველზე ან სხვაგვარად;

„ობლიგაცია“ ნიშნავს წინამდებარე „პროსპექტის“ საფუძველზე გამოშვებულ/განთავსებულ სასესხო ფასიან ქაღალდებს, რომლებიც შესაძლებელია გამოშვებული და განთავსებული იქნას ერთი ან ერთზე მეტი ემისიით.

„ინვესტორი“ ან **„ობლიგაციონერი“** ნიშნავს „ობლიგაციების“ მესაკუთრეს.

„პირი“ ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ პირს, კომპანიას, კორპორაციას, ფირმას, ამხანაგობას, ერთობლივ საწარმოს, გაერთიანებას, ტრასტს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, სახელმწიფო ან ნებისმიერ სხვა საწარმოს, მიუხედავად იმისა წარმოადგენს თუ არა ეს უკანასკნელ დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

„პირობები“ ან **„გამოშვების პირობები“** ნიშნავს ამ „პროსპექტით“ გათვალისწინებულ „ობლიგაციების გამოშვების პირობებს“.

„პროცენტის გადახდის თარიღი“ ნიშნავს თარიღს, რომელიც განისაზღვრება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტის“ შესაბამისად და რომელზეც ხორციელდება „ობლიგაციებზე“ „საპროცენტო სარგებლის“ გადახდა.

„სააქციო კაპიტალი“ ნებისმიერ „პირთან“ მიმართებით ნიშნავს ასეთი „პირის“, ან ასეთი „პირის“ საწესდებო კაპიტალთან, კაპიტალთან ან/და წილთან/აქციებთან დაკავშირებულ, არსებულ ან მომავალში გამოშვებულ,

ნებისმიერ და ყველა წილს/აქციას, უფლებას, შენატანს, შესყიდვის უფლებას, გარანტიას, ოფციას ან კაპიტალთან დაკავშირებულ სხვა ტიპის უფლებას (ან ნებისმიერი ზემოაღნიშნულის ნებისმიერ ეკვივალენტს (დასახელების მიუხედავად)).

„სააღრიცხვო თარიღი“ ნიშნავს შესაბამისი გადახდის თარიღამდე 3 (სამი) „სამუშაო დღით“ ადრე „სამუშაო დღის“ ბოლოს (თბილისი დროით 19:00 საათის მდგომარეობით).

„სებ“-ი ნიშნავს საქართველოს ეროვნულ ბანკს.

„პროსპექტი“ წარმოადგენს წინამდებარე პროსპექტის დოკუმენტს.

„საბოლოო პროსპექტი“, „დამტკიცებული პროსპექტი“, „წინასწარი შეთავაზების პირობების დოკუმენტი“ და **„საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტი“** განიმარტება „კანონმდებლობის“ შესაბამისად.

„სამუშაო დღე“ ნიშნავს ნებისმიერ დღეს შაბათის და კვირის გარდა, როდესაც თბილისში არსებული კომერციული ბანკები ახორციელებენ გადარიცხვებს და აწარმოებენ ჩვეულებრივ საქმიანობას (უცხო ვალუტაში გაცვლის ჩათვლით).

„სანქციების ორგანო“ ნიშნავს გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების ოფისს (Foreign, Commonwealth & Development Office) (რომლის მიერ დადგენილი სანქციები ადმინისტრირდება ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახურის მიერ (OFSI)), ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახურს (OFAC) ან/და ევროპის კავშირის (EU) ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს (UNSC) ან/და მათ ნებისმიერ სამართალმემკვიდრეს.

„საპროცენტო პერიოდი“ ნიშნავს პერიოდს „ობლიგაციების“ „გამოშვების თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით), პირველი „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად), და ყოველ შემდგომ პერიოდს წინა „პროცენტის გადახდის თარიღიდან“ (ამ თარიღის ჩათვლით) მომდევნო „პროცენტის გადახდის თარიღამდე“ (ამ თარიღის ჩაუთვლელად).

„უზრუნველყოფის ღონისძიება“ ნიშნავს ნებისმიერ გირაოს, იპოთეკას, დატვირთვას, ყადაღა ან სხვა სახის უზრუნველყოფას (მათ შორის, ნებისმიერ იურისდიქციაში ზემოაღნიშნულის ანალოგიურ სხვა სახის სამართლებრივ უზრუნველყოფას).

„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (IFRS) ნიშნავს საერთაშორისო ბუღალტერიის სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემულ საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს (ყოფილი საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტები) და IASB-ის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების განმმარტავი კომიტეტის მიერ გამოცემულ განმარტებებს (დრო და დრო შეტანილი, დამატებული ან ხელახლა გამოცემული ცვლილებებით).

„შვილობილი“ ან **„შვილობილი კომპანია“**, „ნებისმიერ „პირთან“ („პირველი პირი“) მიმართებით ნიშნავს მოცემულ დროს, ნებისმიერ სხვა „პირს“ (ა) რომლის საქმიანობას და პოლიტიკას პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს „პირველი პირი“ ან (ბ) რომლის კაპიტალის, ხმის მიცემის უფლების მქონე აქციების ან სხვა საკუთრების უფლების 50%-ზე მეტს ფლობს, პირდაპირ ან არაპირდაპირ, „პირველი პირი“.

„საპროცენტო სარგებელი“ ან **„კუპონი“** ნიშნავს „ობლიგაციებზე“ დარიცხულ და გადასახდელ საპროცენტო სარგებელს, რომელიც განისაზღვრება/დაანგარიშდება შესაბამისი „საბოლოო შეთავაზების პირობების დოკუმენტში“ დადგენილი/მითითებული განაკვეთის შესაბამისად.

„სპეციალურ გადაწყვეტილებას“ ენიჭება წინამდებარე „პირობების“ 7.15 პუნქტის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) „ა“ ქვეპუნქტით („*ობლიგაციონერების კრებები*“) განსაზღვრული მნიშვნელობა.

„ჩვეულებრივ გადაწყვეტილებას“ ენიჭება წინამდებარე „პირობების“ 7.15 პუნქტის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) „ა“ ქვეპუნქტით („*ობლიგაციონერების კრებები*“) განსაზღვრული მნიშვნელობა.

„გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დეფოლტის შესახებ გადაწყვეტილებას“ ენიჭება წინამდებარე „პირობების“ 7.15 პუნქტის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) „ა“ ქვეპუნქტით („*ობლიგაციონერების კრებები*“) განსაზღვრული მნიშვნელობა.

„კრების მოწვევის ინიციატორი“ არის წინამდებარე „პირობების“ 7.15 პუნქტის („*„ობლიგაციონერების“ კრებები, ცვლილებები და უფლებებზე უარის თქმა*“) განსაზღვრული „პირი“.

„ცენტრალური დეპოზიტარი“ ან **„დეპოზიტარი“** ნიშნავს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარს“ (ს/ნ: 204935400).

„განთავსების აგენტი“ ნიშნავს სს „გალტ ენდ თაგარტს“ (ს/ნ: 211359206).

„კალკულაციისა და გადახდის აგენტი“ ნიშნავს სს „გალტ ენდ თაგარტს“ (ს/ნ: 211359206).

„კალკულაციისა და გადახდის აგენტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება“ ნიშნავს „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით ძირი თანხისა და „კუპონის“ კალკულაციასა და გადახდასთან დაკავშირებით „ემიტენტსა“ და „კალკულაციისა და გადახდის აგენტს“ შორის დადებულ ხელშეკრულებას.

„დეფოლტის შემთხვევას“ ენიჭება წინამდებარე „პირობების“ 7.13 პუნქტის („*დეფოლტის შემთხვევები*“) განსაზღვრული მნიშვნელობა.

„ანგარიშის მწარმოებელი“ არის სს „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/ნ: 211359206) და „დეპოზიტარი“, ასევე ნებისმიერი სხვა ფინანსური დაწესებულება, რომელსაც „კანონმდებლობის“ შესაბამისად აქვს უფლება, „ობლიგაციონერისთვის“ გახსნას და აწარმოოს კლიენტს ფასიანი ქაღალდების ანგარიში, რომლის მეშვეობითაც „ობლიგაციონერი“ ფლობს „ობლიგაციას“.

„ანგარიშის მფლობელი“ არის „პირი“ (მათ შორის, „ობლიგაციონერი“), რომლის სახელითაც „ანგარიშის მწარმოებელი“ აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ანგარიშს, მიუხედავად იმისა, ეს „პირი“ მოქმედებს თავის თუ სხვის სასარგებლოდ (მათ შორის, როგორც „ანგარიშის მწარმოებელი“).

„ხელმომწერი ინვესტორი“ არის ინვესტორი, რომლის მიერ „ობლიგაციების“ შეძენაზე გამოხატული ინტერესი დაკმაყოფილდა და რომლის მხრიდან აღნიშნული ინტერესის დაკმაყოფილება შემდგომ იქნა დადასტურებული ამ „პროსპექტში“ დადგენილი წესით.

„**ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადებას**“ ენიჭება წინამდებარე „პირობების“ 7.14 პუნქტის („*ობლიგაციების ვადამოსულად გამოცხადება*“) განსაზღვრული მნიშვნელობა.